

ჭვერი ვაზისა



გამოდის ყოველ კვირას
ღირს მ მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჭვერი ვაზისა“
კათოლიკების ქუჩა № 4

ამ წლის 26 მარტის თვიდან გამოდის სურათგონისა უღელს
კვირული საეკლესიო საზოგადოებრივი გაზეთი

„ჭვერი ვაზისა“

სრულის პრეგრამით

უხსი ვაზეთისა ერთის წლით 4 მან., 26 მარტიდან წლის დაძლევაძდე ვაზეთი ეღირება
მხოლოდ 3. მანეთად, ცალკე ნუმერი 10 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში — 1
„ჭვერი ვაზის“ რედაქციაში კათოლიკების ქ. № 4 კათოლიკეთა ეკლესიის სახლში, წერა
კითხვის გამაგურელებელ საზოგადოების კანცელარიაში ბ. შ. ქუჩუგაძევილთან.



დემოკრატია და რესპუბლიკა.

დემოკრატია (დემოს ხალხი — კრატოს, შეძლება) არის მთავრობა ხალხისა, ხალხითა, ამის გარეული ცხადი და მტკიცე სახე არის **რესპუბლიკა** სადაც მთავრობის მოთვე უმფროსი აღმორჩეულია ასეთი ისე, პირდაპირ ხალხისაგან ხმითა და სურვილით და არაა დაყენებული შთამამაველობით. იგი ამორჩეულია ან ხალხისაგან ან ხალხის წარმამადგენელთაგან. მაშინ პრეზიდენტი თავის მხრივ ასახელებს ან ნიშნავს შეადგენს სამინისტროს და სხვა უწყებათა.

საზოგადო ხმონობა ან ამორჩევა. ხალხი ახმარებს თავის უფლებას მთავრობას საზოგადო ამორჩევაში სასაფრანგეთში გაკანონიერდა 1848 წ. რომ ყოველას შეუძლია იქნოს მონაწილეობა ამორჩევაში. ყოველი ფრანკუზი რომელსაც 21 წელი შესრულებული აქვს და მოქალაქებრივი უფლება არ დაუკარგავს იგი ამორჩეველად ითვლება. რუსეთში კი ახალი ცვლილება მოხდა და დაარსდა ასე თუ ისე ხალხოსნური რჩევა. 1905 წ. პრაქტიკაში წავიდა დეპუტატების ამორჩევა და გაგზავნა 1906 წ. აპრილის 27 ს. დეპუტატთა სათათბირო რჩევითი ხმა აქვთ და არა კანონმდებლობითი.

ზოგიერთი, ქალთა უფლებათა დამცველნი, თხოულობენ რომ დედაკაცსაც ჰქონდეს ხმა შეძლება ამორჩევისა. სხვანი უსაყვედურებენ ამ სისტემას და უკიენებენ შეუფერებელი არისო რომ ერთი უკანასკნელი უმეცარე გაუნათლებელი თანასწორე ხდება რესპუბლიკისა პრეზიდენტისა. და ასკუთრებს ერთი დაიმავე ღირებას იმ ხმას (**ბულეტენს**) რომელიც ქუჩის დამგველმა მუშამ უნდა მიისცემს და იმანაც რომელმაც მალა სწავლა განაულება მიიღო და საკადემიოს მწვერედ ირიცხება რასაკურთხელია ამ ორ კათოგორიის ხალხთა შორის მთლად სხვა და სხვა ცნობა ოა თანაგრძნობა გამოიჩინეს უნარსა. ამისათვის უნდა კაცმა მიიღოს მხედველობაში არა რაცხვი ხმისა არამედ ღირსება ხმონობა. მაგრამ ამის მოწინააღმდეგნი უპასუხებენ ხალხისაგან ამორჩეული პირი უმეტესად შეგნებული იქნება ხალხის საქროებაზე მაშასადამე სიმართლევ მოითხოვს რომ საქვეყნოდ აღიარებული იყოს ხალხის რფლება და საქმიანობა.

სხვანი ამბობენ რომ ოჯახის პატრონს მამას კოლშეაღების მყოფეს მომეტებულად დაინტერესებული არის საზოგადოების კეთილ დღეობის კეთილ წესწყობილებაში წინ წასასვლელად. ვიდრე ერთ ღერ კაცს უკოლშეაღს. ერთ მდიდარ მრეწველობის მქონე

ნე უმეტესად დაინტერესებული ვიდრე ერთი ათას მუშათაგანს. მაშასადამე ამის უნდა მომეტებულად ხმა უნდა ჰქონდეს რომ გავლენა იქონიოს საზოგადოებაში.

მეორე კერძოთ რომ ავიღოთ ქვეშაირტება როდესაც ადამინი შეგნებულია და იცის თავის მოვალეობა, შეძლება და მოქალაქებრივი საქვეყნო პასუხის შეებლობა მაშინ ეს თავისთვის ცნობა და გრძნობა კაცს თავაზათ ხდის დიდსულოვანი იბადება და მოსალოდნელიც არის რომ ამ თვით ცნობიერებაში ადამიანი მაღალ ღირსეულ ზნეობაში და სათნოებაზედ შეახალისოს.

ბელგიაში, ყველა მომართულება დასაკმაყოფილებლად განაწესა და შემოიღო საზოგადო ხმონობა და მრავალ ხმის მქონება. რომელიც განისაზღვრების ასე. „ყოველა ბელგიელი რომელიც 21 წლისაა უფლება აქვს ამორჩევის მაგრამ ზოგიერთ ბელგიელს აქვს უფლება მრავალი ხმა იქონიოს.

ოჯახის პატრონს, აქვს ორიხმა. მწიგნობარს სამი.

თუ რომ გამოირიცხული იქნება რომ შეფე უნდა ამორჩეოდეს და თუ ამ ზემორედ მოყვანილი სახის მთავრობათაგან გამოირიცხება ქვეყანას დასე ამოალუტიზმი (თვით მნებლება.) ჰვიგებს. სირთლით შეგვიძლია დაუმატოთ რომ დემოკრატიული მიმდევრობა შეიძლება არსებობდეს მარტო რესპუბლიკურ მთავრობაში არამედ სხვაშიაც.

ასეც არის, დღევანდელ მონარხიულ მთავრობაშიაც მრავალადგილას არის დემოკრატიული წესწყობილება. თუმც ძველი თრადიციონალურ პრინციპზედ არიან დამყარებულნი-მამგრამ მათი განწყობილება არის ახალი კონსტიტუციონალური სახის მონარხიული. სისტემის მიმყოფნი იქიდიან რამანიარ მთავრობაში უკეთ დიციება საზოგადოებრივ კეთილწყობილება და ნაციონალური არსებობა.

რესპუბლიკის მომხრენი კი ამჩივენ მუღირსებანს დემოკრატიულ წესებში მისთვის რადგან ეს მთავრობა მიესაკუთრების დემოკრატიული საქმიანობას წარმოშობილია ხალხის თანაგრძნობა და დაფუძნებულია ხალხისავე თავისუფალ ნებებაში ამანიარ მთავრობაში აღარ იქნება ძალმამობა და თვითნებელობა.

რასახისაც ვინდა იყოს მთავრობა, უმკითხვარე შეიძლება შეიწროვდეს უმრავლესობით შეიძლება რომ კიდევ დაქლონ ადამიანის უნდა და სიმართლევ. გარნა რა ეშუელება ამ შეუფერებელ შემთხვევას?

პირველად საზოგადოებამ უნდა ეცადოს რომ
 ხეობა აღდგენილიყოს კაცთაშორი. მეორედ, უნ-
 და ცდილობდეს კაცი, დემოკრატიაში გამორჩეულმა
 საზოგადოება.
 რომ დაძლეული დაჩაგრული არ შეიქმნას რიცხვი-
 თი უმრავლესობის ძალმომრეობის და ზედგავლენ-
 ნიან პირთაგან.

მესამედ, შეადგინონ პარტია რომელთაც შეე-
 ძლებათ სათათბიროში იყოლიონ თანასწორი წარ-
 მომადგენელნი.

ნუ თუ სახარება და ქრისტიანული წეს წყო-
 ბილება ეწინააღმდეგება ახლიანდელ კაცობრივ მი-
 შართულებას? სრულიადაც არა, რადგან დღეს თუ
 ხვალ აღრე თუ გვიან ამის აყოლით ქრისტიანული
 ქეშმარიტი გრძნობა გაიღვიძებს მიძინებულ ქრის-
 ტიანთ გულში და ყოველა გაგვიადვილებს რომ
 ვიხმაროთ და გამოვიყენოთ ყოველი ლეგალური
 ქრისტეს მიერ მინიჭებული საშუალებანი რომ ქრის-
 ტიანული ქეშმარიტი სული დამყარდეს საზოგა-
 დოებაში.

მუშათა კითხვამ არ უნდა შეგვაშინოს; პირ-
 იკით უნდა განვიხაროთ რომ სახარებრივი პრინცი-
 პები რომელნიც არიან საზოგადოების საძირკველნი
 იქნებიან ნათელის მომფენნი და უძღურთა მანუ-
 გეშებელნი. რადგან მასშიდ არიან აღნუსხულნი
 რანაირად უნდა გამოექომაგოს გლაბასკა, შეეწიო
 მოხუცსა ქერისა ობოლთა.

არ დავივიწყოთ რომ ყოველი კეთილი საქმე
 რომელიც ხდება კაცთ მოყვარეობის და საზოგადო-
 ების შეწყობის სახელის ქვეშ, წარმომდინარეობენ
 მხოლოდ სახარებადგან. პ. დ. მ. პაწაქე.

**თფილისში ქართულ კათოლიკეთათვის ეპის-
 კოპოსის დანიშვნა იოანე XXII პაპის მიერ.**

„პაპი იოანე XXII. სამარადისო მოსახსენებლად.
 შემდგომ ბევრის რჩევისა და გამოძიებისა
 დარწმუნებით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები,
 რომ ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული
 ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნაუი, ერთი
 საესე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. გავ-
 ლილ დროებში უფროსთა ნებით წასულმა დომი-
 ნიკიანებმა, მოღვაწეობით და დაუცხრომლის შრო-
 მით, თუ ამ ქალაქისა და თუ მის გარეშე ადგილე-
 ბის მტკიცებრება უმეტესი ნაწილი მოაქციეს კათო-
 ლიკე სარწმუნოებაზედ; აწ მათ სწამსთ და აღიარებენ

ყრველსავე იმის, რომელიც არის ქრისტე თუ ამისა
 და თუ სხვა რაცა სწამს, აღიარებს და ასწავლის რომის
 ეკლესია. ამიტომ ღეთის სახლის საქმე-სადიდებლად,
 სარწმუნოების პატივისათვის და გასაერკვლებლად,
 ჩვენის ხსენებულის ძმების რჩევით და ჩვენის სრუ-
 ლის მოციქულებრივის ხელმწიფების ძალით სმირი-
 ნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის
 ტფილისის ქალაქსა. რადგან, უკეთესამოციქულო
 საყდრის მოწყალებით იმ ადგილს დაინიშნა ეპის-
 კოპოსი, რომელმაც უნდა შეუდგინოს და მოუქ-
 ლებლივ ასწავლოს კათოლიკე მოძღვრება ერსა,
 დარწმუნებული ვართ და მტკიცედ ვსასობთ, რო-
 გრათაც ზემოთ მოხსენებულიდგანაცა სჩანს, უფ-
 ლის შემწეობით მორწმუნენი გამტკიცდენ სარწმუ-
 ნობაში და ბევრი ურწმუნოც ადვილად მოიქცეს
 ქეშმარიტების ნათლისადმი, ოდათ სასარგებლო
 მიზეზების გამო. ჩვენ გადავწყვიტეთ და ჩვენის
 ხსენებულის სრულის უფლებით ტფილისი ვაგზა-
 დეთ საეპისკოპოსო. ქალაქად და გვენებას შემ-
 დეგშიაც დარჩეს ესრედ და ეწო დებოდეს
 მუდამ ტფილისის საეპისკოპოსო ქალქი; არც
 მოაკ ლდეს მას ეს საეკლესიო ღირსება, არამედ
 იგი უფრო აღმატოს და გაერკვლდეს. ვგრეთვე
 ძმათა რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით დაგ-
 ვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო
 ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და ეწოდოს ტფი-
 ლისის საეპისკოპოსო ეკლესია; ამ კათედრაზედ ღეთის
 შეწევნით ეპისკოპოსად დავნიშნავთ გამოცდილსა
 და მოღვაწე პირს. აწ უხაროდეს იქაურ მორწმუნე
 ერთა სიმრავლეს, ეს დიდი და უხვი სამოციქულო
 საღდრის წყალობა და მარადის წარმართონ თვისნი
 საქმენი უფლის მცნებათა გზასა. ვგრეთვე სიბნე-
 ლეში შობილ ურწმუნოთ ალაბილონ თვალნი, მიი-
 ლონ ნებით ქრისტეს სარწმუნოება, ქადაგების შემ-
 წეობით აღმოფხვრან თავიანთ გულიდგან შეცთო-
 მილება, დაადგნენ სიმართლისა და ქეშმარიტების
 გზისა და აღიძრნენ ღეთის ნების ასასრულებლად
 მარადის. რათა მოიპოვონ საუკუნო ცხოვრება, მას
 ჩვენ მიერ გადატანილის კათედრის გადაწყვეტილე-
 ბას. მოწყალებობისა და ნების წინააღმდეგ არავის
 შეძლოს მოქცევა. ავინონით, 1906 წლის, მლედელთ
 მთავარობის მეცამეტე წელიწადს (1928)“.

აი ჩვენის გავლილის დიდების ერთი ცხადი
 ნიშანიც ამ პაპს ქვეყნის ყველა მხარეს ჰყავდა მი-
 სიონერები დაგზავნილი. მაგრამ არცერთი მხრი-
 დან მიუღია ისეთი სანუგეშო ამბავი, როგორც სა-
 ქართველოდგან, და არც ერთი ქალაქის შესახებ

უთქვამს ისეთი სიტყვები, რასაც აცხადებს ტფილისის შესახებ: ძრიელ შესანიშნავი, ერთ საესე და სიმდიდრით უხვი ქალაქი. ეგრეთვე შენიშნათ, რომ ტფილისში საეპისკოპოსოს დანიშვნის პირველი და უმთავრესი მიზეზი ყოფილა ერის მოვალა და მისი სასულიერო საქმეობა, რადგან, როგორც წერილის სიტყვებიდან სჩანს: „multitudo habitantium, სიმრავლე მცხოვრებთა“, ძრიელ ბევრს მიუღიათ კათოლიკობა არა მარტო ტფილისში, არამედ საქართველოს სხვა ადგილებშიაც. ლათინურს ენაში ლექსი multitudo იხმარების, როდესაც აურიცხველი, ანუ, მომეტებული სიმრავლის რიცხვი უნდა აღინიშნოს.

პაპმა ტფილისის საეპისკოპოსოს დასაარსებლად არ იკმარა ეს წერილი, რომელიც საქართველოს გარდა შეხებოდა სირიის საეპისკოპოსოს მოსპობასაც. ამიტომ ერთი წლის შემდგომ მისი მგზავნი განსაკუთრებული წერილი (ბულა) გამოსცა ტფილისის შესახებ, როდესაც თავისი წინანდლის დადგენილების ასრულება მოინდომა. იოვანე პაპის აი შესამე წერილიც, რომლისაგანაც გამოვსტოვებთ შესავალს, რადგან საქართველოს შესახებ იქ განსაკუთრებით არაფერია.

„პაპი იოვანე XXII. სამარადისო მისახსენებლად. „... ბევრი ხანი არ არის, რაც დიდის სიხარულით ესტანით სარწმუნო მოხსენებიდან, რომ მრავალნი დომინიკიანნი, სავსენი სარწმუნოებრივის გულმოდგინებითა და ეგრეთვე კაცთა ცხონების სურვილითა; უფროსთა ნება-დართვით წასულან ქართველების სამეფოში, სადაც დიდი ხალხი ცხოვრებს. იმ ქვეყნის უმეტესი ნაწილი დაუვლიათ დიდის შრომით და იქვე უცხოვრიათ რაოდენსამე წელიწადს; გულმოდგინებით ღეთს სიტყვა უქადაგებიათ ერისათვის, რომელიც გაუწერთნიათ სიტყვობებით, რაისგამო ბევრი მათგანი კათოლიკე სარწმუნოებაზედ მოუქცევიათ და ესრეთ შემოუყვანიათ დაუბნელებელს წმიდა სარწმუნოების ნათელში. იმ ადგილის მორწმუნენი დარწმუნებულნი არიან და მტკიცედაც სასოებენ, რომ თუ შემოხსენებულ მონაზონთა დაუცხრომელად გამაგრძეს სახარების ქადაგება იმ ერში, როგორც აქამდე საქებურად იღვწოდენ, უკველად უდიდესი რიცხვი იმ ერთა მოიქცეს და მიიღოს კათოლიკე სარწმუნოებაო. თუცა კი უღიანნი, მაგრამ ნეტარის პეტრეს მოსაყდრე და ამ ქვეყანაზედ ქრისტეს მონაცვლე, დიდად მოხარული ვიქმენით ადენს ხალხის მოქცევისა და დამართის მადლობის მსხვერპლი შევსწირეთ. რადგან

ესრეთი სასარგებლო საქმე დიდთ სათნო საყოფელია ღეთისა. ჩვენც ვავედრებთ და ვანიჭებთ მას ყოველ ჩვენს მოციქულებრივ მფარველობას; ეგრეთვე გვნებავს მისი წარმატება და აღორძინება. ამიტომ შემდგომ დიდის აწონდაწონისა და ჩვენ ძმებთან ერთად გულმოდგინე მოლაპარაკებისა, ეგრეთვე მათი რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით. იმავე სამეფოში მყოფს, ცანთქულს, შესანიშნავს და შესაფერ ქალაქს ტფილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად ღეთის საქებ-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, მცხოვრებთა აწ მყო და მომავალის ბედნიერებისათვის და სხვა და სხვა საჩინო მიზეზების გამო, რამაც გადაგაწყვეტინა, ასე მოვქცევულიყავით. ეგრეთვე გვნებავს, რომ მომავალშიაც ყოველთვის ეწოდებოდეს ესევე სახელი: **თფილისის საეპისკოპოსო ქალაქი**. მზგავსადვე ზემოთ ხსენებულ ძმათა რჩევით და ჩვენის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ეკლესია, რომელსაც ვანიჭებთ საეპისკოპოსო ტიტულსა. ღეთის შუწევნით, მალეც მოუვლენთ ღირსსა და საკუთარ მწყემსსა. ინებოს ზეციერმა სიძემ, რათა თვის წინუძღოდეს და მფარვიდეს იმ ეკლესიას. მაშ არავის შეძლოს წინააღმდეგად მოექცეს ჩვენ მიერ განწყებულ, მინიჭებულ დადგენილებასა. ავინიონინ თებერვალს, ჩვენი მღვდელთმთავრობის მეოთხე ხმეტე წელსა (1329)

ამ წერილიდან საკმაოდ სჩანს, რომ ქართველ კათოლიკეთაც მიუწერიათ პაპისათვის თავიანთი ამბავი და უთხოვნიათ ტფილისში ეპისკოპოსის დანიშვნა. სამწუხაროთ, ესრეთი საბუთები, ეგვი, ერის მიწერილი წიგნები დაკარგულია და მათი ხსენება არ სად არის. არც ტფილისის ეკლესიის აშენების შესახებ ცნობას მოუწევია ჩვენამდ გარნა უნდა ვსთქვათ, რომ ქართველი კათოლიკე საკმაოდ შემწეობას აღმოუჩენდენ იმ საკათედრო ეკლესიის ასაშენებლად; რადგან მისი დაარსება იმათაც უთხოვნიათ.

იმავე დროს საქართველთდან წასულა რომელიმე დომინიკიანების მისიონერი იოვანე ფლორენციელი რომელსაც პაპი ნიშნავს ტფილისის პირველ ეპისკოპოსად და ხელ ახლავ გზავნის საქართველთ შემდგვის წერილით. მეოთხე წიგნი იმ პაპისა;

„პაპი იოვანე XXII. ჩვენ საყვარელს შვილს იოვანე ფლორენციელს, ტფილისის ეპისკოპოსად მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

„დიდის ღონისძიებით ვცდილობთ, ეწრობოდეს

და ღვთის შემწეობით ვხმარობთ ყოველ საშუალებას დასაკმაყოფილებლად იმ საჭიროებათა, რომელნიც სათანადოდ ხელს შეუწყობენ კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებას, ღვთის სამსახურის გაძლიერებას და ერის ცხოვრების წარმატებას. უეკველად მოსალოდნელი და დასაჯერებელია, რომ ეს ყოველივე აღვიღალდ შესრულდეს, როდესაც ეკლესიების მწყემსნი და მმართველნი არიან ნიჭიერნი და შრომუნებელნი, ძლიერნი საქმიანთა და სიტყვიანთა, ერისათვის სამავალითონი უმანკო ცხოვრებითა და როდესაც დაუცხრომელად ღვთიური სიტყვის ქადაგებით ამზადდებენ და ამტკიცებენ მორწმუნებს ღვთიური ღირებების ცნობაზედ და ცდილობენ, რათა მათდამი მინდობილი ეკლესიანი მწყემსონ, უწინამძღვრონ საუკეთესოდ და ჰმართონ საბედნიეროდ. კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, ღვთის სახელის მსახურების წარსამატებლად და სხვა საპატრიო მიზეზთა გამო, ამ ბოლო დროებაში, ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით, ქართველთა სამეფოსის შესანიშნავი ქალაქი ტფილისი განვაწესეთ საეპისკოპოსო ქალაქად, თვისივე სახელი შევარჩინეთ და გვენებავეს, მომავალშიაც ეწოდებოდეს ესევე სახელი „ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი“. ზემოდ ხსენებულის რჩევით და უფლებით დავადგინეთ, იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ეკლესია, რომელსაც ექმნება საეპისკოპოსო ღირსება და ტიტული. იმავე ეკლესიამ რომ თავისი საკუთარის მწყემსის პატივით განიხაროს და განსცხრეს თავის სასიძოს სიტკობებით, გულ-მოდგინებით განვიზრახეთ იმ კათედრაზედ დაენიშნათ ღირსეული, შესაფერი და პატიოსანი პირი. ამ საგანზედ ჩვენ ძმებთან კარგათ რჩევა გამოლაპარაკების შემდგომ, ჩვენს ყურადღებას მოგაპყრობთ თქვენ, რომელიც ხართ დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონი, განსწავლული საღვთო საგნებში და კარგად მცნობი იმ ქვეყნის გარემოებისა, ვინაიდან იქ ყოფილხართ და ყოველფერი ზედმიწევნით შეგიტყვიათ; როგორც მოგვითხრეს, თქვენის ქადაგებით იქ მრავალნი მორწმუნენი მოგიტყვიათ და იესო ქრისტესთვის შეგიძენით: სხვათა შორის ამ ხარისხს ღირს გყოფსთ თქვენივე გულმოდგინება, წმიდა ცხოვრება, ზნეობრივი მოქმედებები, საქმეში გამოცდილება და სხვა თქვენი სათნოებანი, როგორათაც სხვებმაც დაგვარწმუნეს. ყოველი გარემოების შეტყობის შემდგომ, ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის უფლებით, გირჩევთ და გნიშნავთ ეპისკოპოსად და

მწყემსად ხსენებულის ეკლესიისა და გაძლიერებისათვის განაგოთ იგი თუ სულიერისა და თუ ხორციელის მხრით. დიდად დარწმუნებული ვართ, როგორც აქამდე იმოქმედეთ, ღვთის შემწეობით გაძლიერეთ თქვენდამი მონდობილი ეკლესია და განავრცელეთ თქვენის მეცადინებითა და შრომითა ვგრეთვე ღვთიური მცნებაში გასაწერათნათ. ჰმართოთ მოციქულებითა თქვენს ერთგულობისა და სიფხიზლისათვის მონდობილი სამწყსო, როგორც აქამდე აღვისრულებით თქვენი მოვალეობა იმ ადგილებში თქვენის ქადაგებით. მიიღეს მაშ უღელი უფლისა ესოდენ მსუბუქი და ტკბილი მდაბალთათვის, ღვთისავე სიყვარულისათვის მოსავლელად, შეიწყნარეთ უფლის სამწყსო, იფხიზლეთ მისთვის ყოველის გულმოდგინებით და დაიცევით იგი თქვენის ზრუნვით, რათა მტერმა ვერას მხრით შესძლოს მისი ვნება. უკეთუ ეს ყოველივე ერთგულებით აღასრულეთ და დაიცევით სარწმუნოებაში თქვენს მონდობილნი ერნი, რა ვამს მოვალს უფალი და გპოვებს ესრეთ მომქმედს და მცირეზე სარწმუნოს, მაშინ იგი დაგადგენსთ უმრავლესზე და შეგიყვანსთ შეგების სანატრელს სამკვიდრებელში. ავინიონით 7 თებერვალს, მღვდელთ მთავრობის მეთათხმეტე წელსა (1329)“.

მეხუთე წიგნი ერთსა და იმავე დროს მისწერა პაპმა მთლად საქართველოს კათოლიკებსა ტფილისის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ, და ვგრეთვე მისწერა, რომ კარგად მიეღოთ იოვანე ეპისკოპოსი. წერილი ბევრი არაფრათ განიჩევა ზემოთ მოყვანილის წიგნისგან, თითქმის ერთ ნაირათ არის დაწერილი, გარდა იმისა, რაც შეეხება თვით ეპისკოპოსს. აქ მოვიყვანთ მარტო იმ ნაწილს, რომელითაც პაპი კათოლიკებს ავედრებს ახალს ეპისკოპოსს.

„ყოველთა, კათოლიკე ქრისტიანთა, ტფილისის ქალაქს და მის ეპარქიაში მყოფთა, მშვიდობა, და მოციქულებრივის კურთხევა.

„... ამ ჩვენის თქვენდამო მოციქულებრივის წერილით ყველას გთხოვთ, გულმოდგინებით შეგაგულიანებთ და გიბრძანებთ, რათა არჩეული ეპისკოპოსი მზურვალედ მიიღოთ, როგორც თქვენს მამას და თქვენს სულიერს მწყემსს, მიაგოთ ჯეროვანი პატივი და სიმდაბლით მოუსმინოთ ყველა რჩევა და ბრძანებანი, ასე რომ მან განიხაროს თქვენში, ვისაარცა თავის საყვარელ შვილთა შორის, და თქვენც გახარებდეთ იგი, როგორც თქვენი საბიერი

მამა. ავინონით, 7 თებერვალს (1829)“. ეს არ ყოფილა პაპის უკანასკნელი წერილი საქართველოში გამოგზავნილი. განსაკუთრებით ერთი წერილი საქართველოს კათოლიკე სამღვდელთა მოსწერა. ის წიგნი მსგავსია აქ დასახელებულის მრევლთან გამოგზავნილის წერილისა, მტკრედელა განსხვავება აქვს და ამ განსხვავებასაც აქვე ვაძინობთ მკითხველთა.

იმ პაპის შექვესე წიგნი: „ჩვენს საყვარელ შვილთა, ტფილისის ქალაქისა და მისი ეპარქიის სრულიად სამღვდელთა. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა... ვუბრძანებთ თქვენს განათლებულებას, სიმდაბლით ყურადღება მიექციოთ მაგ ღირსეულს ეპისკოპოსს, როგორც თქვენს მამას და თქვენს სულიერს მწყემსსა, შესაფერი პატივი სცეთ, დაემორჩილოთ, მხურვალეებით მოუსმინოთ ყველა ბრძანება და დარიგება და ერთგულად აღასრულოთ ყოველივე, რათა მას და თქვენ შორის გაძლიერდეს სულიერი სიხარული და წარმატება. უკეთუ არ დაემორჩილეთ, მაშინ კანონიერად რა სასჯელსაც დაადგენს ურჩების წინაშედგე, ჩვენც დავამტკიცებთ და უფლის შემწეობით ავასრულებინებთ შეუცვლელად, ვიდრე ჯეროვანს დაქმნაყოფილებას მიიღებდეს. იმავე თარიღით. როგორც ზემოთ.“

ეს წერილიც ცხადათ გვიჩვენებს, რომ არა მარტო ერს, არამედ მის სამღვდელთა მოსახლეთა ერთათ მიუღია კათოლიკობა და მღვდლების რიცხვიც საკმაოდ ბლომად ყოფილა და ამ გარემოებას პაპისათვის განსაკუთრებული წერილი მიუწერინებია. ვგრეთვე ყოველ ექვ გარეშეა ისა, რომ ის წერილი შეეხება ქართველი კათოლიკების სამღვდელთა და არა იქ მოსულ ლათინის მისიონერ მღვდლებს, რადგან ის მისიონერები მონაზონები იყვნენ, ხოლო ლათინურად ისინი მეტადრე ასეთ ქალიშვილებში იწოდებიან ამ ლექსით: **Regulares**, ესე იგი მოწესები, მონაზონები; გარნა ლექსი **Clero**, რომელსაც პაპი ხმარობს, ნიშნავს არა მონაზონებს. ვერც შეეძლოთ შერიცხულიყვნენ ტფილისისა და მისის ეპარქიის მკვიდრ სამღვდელთა. რადგან ისინი მუდამ თავიანთ წესის უფროსაგან იყვნენ დამოკიდებულნი, ამიტომ ხშირად უცვლელად და აქეთ იქით სხვა ადგილებში მიდიოდნ.

(განსაკრძობია).

ვილილიანი.

როგორ მიიღეს ველელემა ქართველებმა კათოლიკობა.

ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, ორასი წლის ამბავია, ზეპირ გადმოცემული მამა პაპებისაგან. ეს მოხდა 1723 წელსა სოფელ ველში, სათათრეში—არტაქანის ფაშალიკში.—

სოფელი ველი მდგომარეობს არტაქანის მაზრაში დასავლეთ—ჩრდილოეთისკენ ახალციხის, მხარეს. აშენებულა მალა კლდეზე ფაშალიკის მინდვრის, განაპირს მტკერის პირზე. ამ სოფელში ახლა ქურთები სახლობენ.—

ერთს დროს აქ სახლობდნენ ქართველები—რიცხვით სამას კომლამდის, მართალ მადიდებლობის სარწმუნოებისა და ლოცვა-წირვა ჰქონიათ ქართულ ენაზე. ესენი ძველის ძველათ ყოფილიყნენ გადმოსახლებული ზოგი ქართლიდამ, ზოგი დიღვირიდამ და ზოგი სხვა საქართველოს ნაწილებიდამ: იმ დროს, ბევრი ქართველები გადასული ყოფილან მაჰმადის სარწმუნოებაზე ასე რომ ამ სოფელს გარშემო რტყმულა თათრისა და ბერძნების სოფლები, რომლებიც ბევრი ყოფილან არტაქანის მაშინდელ ფაშალიკში.—

რომ ამათ თავიანთი სარწმუნოება დაუცვათ სიწმინდით და ხელ შეუხლებლათ, ეს იმას მიეწერება, რომ თვითონ ეს ხალხი მხნე და კეთილ მორწმუნოებისა ყოფილა, ჰქონიათ მშვენიერი გამაგრებული ველის ციხე სადაც თავს იფარავდნენ მტრის თავდასხმისაგან, აქარელებისაგან და სადაც თვითონვე თურმე აკეთებდნენ იარაღს საომრის, მეტადრე თოფის წამალსა. ერთხელ, როცა ხალხი „მადლისის“ მთაზე-გორაზე, რომელიც ამართულია სოფელ ველის ზემოდგან, დღისასწაულობდა ამადლების დღეობას, სოფლის ხალხი სადღესასწაულოთ მოკმაზული მხიარულობას მისცემოდა: ახალგაზდა ქალიშვილები სიმღერით ფერხულს და ვაფაკები ცხენებით ჯირითს ექცეოდნენ, მაშინ მათ ესტუმრათ ერთი ვიდაც უცხოველი კაცი.—

დალილი-დაქანკობით ეტყობოდა ის შორის გზიდამ იყო მოსული და მისს ერის კაცის უცნაურ (არა ქართველი) ტანსაცმელი და უცხო ენა, რომელზედაც ისა ლაპარაკობდა ამგლავნება მის უცხოეთელობას.—

ძველს ჩვეულებისამებრ ველელემა ეს სტუმარი მიიღეს დიდის ქრისტიანულის სიყვარულით და სტუმართ-მოყვარეობით მეტადრე მაშინ, როცა

ნ გამოუცხადა ხალხს რომ ის არის ხელობით ქიმი.

სტუმარი მაშინათვე მიიყვანეს მღვდელთან, რომელსაც სახელად ერქვა სიმონი რომელიც ყოფილა ღვდლათ ნაკუთრხი ვარძიაში, საცა მას მამულებიც ჰქონია.

ღვდელმა ახალი სტუმარი დიდის სიხარულით მიიღო და თავის სახლში განგებ იმისათვის თახი დაუთმო.

იმ დღიდან ამ უცხოელმა დაიწყო თავისი საქმედება და საკვირველის გულ მოდგინებით გაოჩინა სიბრძნე ყოველა საქმეში და მეტის მეტად ჰქეიმობაში: არჩენდა ყოველა ავთმყოფობისაგან სულ უსასყიდლოთ, უვლიდა ავთ მყოფებს, ძღვედა კეთილ რჩევას სოფლის საქმეებში არ არევდა მდიდარს ღარიბისაგან; ჰკურნავდა ზნეობით უღიერს და ხორციელს სნეულებასა. — ძალიან ცოტას ხნის განმავლობაში ამ უცხოეთელმა დაიმსაურო ისეთი პატივი და სიყვარული, რომ მთელი მოველ მას ღმერთივით დაუწყეს ყურება. —

სხვათა შორის ამ სტუმარმა ჰქეიმა ვაჰკურნა დიდის ხნის სნეულობისაგან მღვდლის მეუღლე. ამის და მიუხედავთ, მღვდლის სახლობა ამჩნევდა რაღაც უცნაურს მოვლენას ამ უცხოეთელი კაცის ქცობებში: მუდამ დღეს დილაობით, ასე საათის ქვარაზე, კარს იკეტავდა, ოთახში მარტო შედიოდა და დიდ ხანს რაღასაც სჩადიოდა. ყველაზე მეტად შეუპყრა ცნობის მოყვარეობა მღვდლის ძმა ევლამში, რომელსაც ძალიან უნდოდა გაეგო, რას აკეთებდა ეს უცხოეთელი და რას შერებოდა თავის ოთახში მარტო? ეს ცნობის მოყვარეობა მას მოსენებდა არ აძლევდა. —

ღვდლის ძმამ ამ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ, ისე მოახერხა, რომ უცხოეთელის ჩუმთ იმისკარებზე ბურღით გააკეთა ნახვრეთი და მეორე დღეს იქიდან დაუწყო ყურება. რომ კარგათ დააკერდა, დიდათ გაოცდა: უცხოეთელი ჰქეიმ იდგა რაღაც სამღვდლო სამოსში, წინ ტახტაზე ედგა ბარძიმი და მხურვალეთ ლოცულობდა, როგორც მღვდელი. ეს გასაოცარი ამბავი იმ წამსვე შეატყობინეს მღვდელს, რომელიც მოვიდა, შეხედდა, ისიც გაოცდა: აქ რაღაც ამბავია, იფიქრა თავის ქნევით მღვდელმა. —

სიმონ მღვდელმა მეორე დღეს გულ ახდით გამოუცხადა უცხოეთელს, რაც თვალთ ენახა და მას ჰკითხ, ეს რა ამბავია? დამაჯალა აღარ შეიძლება. უცხოეთელმა გამაშვარა თავისი ვინაო.

ბა: იყო რომიდან გამოგზავნილი მისიონერი.

რადგან ქართული ენა საკმაოთ შესწავლული ჰქონდა მას და ხალხსაგან დიდი პატივცემა შექმნილი თავის კეთილის, სათნოებითა საესე ხასიათით, მაშინ მან დაუწყო გულმხურვალეთ და ბეჯითათ ქადაგება კათოლიკობის სარწმუნოებაზე. ჯერ მიადებინა მღვდელს, ამის სახლობას და შემდეგ მთელს სოფელს. ასე ერთი მისიონერის ბრძნულის მეცადინეობით რომის ეკლესიამ შეიძინა სამასამდე კომლი კეთილ მორწმუნე ვერი.

მგონია, ეს პატრი-მისიონერი ყოფილა სახელათ პოლლიკარპი.

გამარჯვებულმა მისიონერმა დაუყონებლივ ეს ანბავი აცნობა რომის პაპას და სთხოვა ქართულის მცოდნე პატრების გამოგზავნა, რადგან თვითონ სხვაგან უნდა წასულიყო სარწმუნოების გასავრცელებლათ.

პაპმა მაშინათვე განკარგულემა მოახდინა, გამოგზავნა ქართულის ენის მცოდნე ვაქრები და მასთან პოლლიკარპს აცნობა, რომ ვატიკანმა დანიშნა სუმმა ფული, რომ ერთი ვინმე იმ სიმონ მღვდელის, ჩამომავლისა გაგზავნილ იყო რომში სამღვდლო პირათ გამოსაზღვლათ, მაგრამ დროთაგაველი ნითდა სხვა და სხვა მიზეზის გამო ეს ყოველაფერი დავიწყებაში იქმნა მიცემული. —

ასე იმ დრთდგან ველელი ქართველები გადავიდნენ კათოლიკე სარწმუნოებაზე და იწყეს წირვა ლოცვა რომის კათოლიკეს წესზე. —

როცა რუსთ — თათარის ომი ატყდა რუსებმა რომ აიღეს ჯავახეთის ახალქალაქი მაშინ 1828 წ. ველულებმა, მობეზრებულნი თათრების შევიწროებისაგან, მოიწადინეს ახალქალაქის მახრასში გადმოსახლება, როგორც ქრისტიანს სამთავროში, რომ ცოტა თავისუფლად ამოესუნთქათ. მაშინ ველელი ქართველები გადმოვიდნენ და ოთხ სოფლად გაივინენ; და დაიქირეს ოთხი ვერანა სოფელი, მაშინ სპარსელებისაგან გაოხრებულნი: ბავრა, კარიკანი, ხულგუმო და ტურსი. — დანარჩენი სოფლები ამ მახრებისა დაიხიარეს საუბედუროთ მემრე აზრუმიდგან გადმოსახლებულებმა სომხებმა....

ამ ერთმა პატარა მუქა ხალხმა ქრისტიან სამთავროშიც მოსვენება და თავისუფლად ამოსუნთქვა ვერ ნახეს: ერთის მხრით სომხები და მეორეს მხრით მართალ მადიდებლის სამღვდლოება მოსვენებს არ აძლევდნენ, მართალ მადიდებელს სასულიერო პირნი იძახდნენ: ქართველები ყოფილხართო და კიდევ მართლმადიდებლობა უნდა მიიღოთო. —

მაგრამ კათოლიკობის სასრწმუნოებას მათ გულში იმნაირათ ღრმით ჩაეშვა ფესვები და კეთილ გონიერი მისიონერების დათესილი თესლი ისე ღრმით იყო ჩამჯდარი იმათ სულში. რომ მაშინდელი ახალციხეში მყოფი დეკანოზის ორბელიანის მეცადინეობამ ფუქად ჩაიარა და არას გზით არ შიონდომეს ხელ მეორედ გადმოსვლა მართალ მაღიდბლობის წიახში.....

ველელებმა მიჰპართეს მაშინ ახალციხის მღვდელთ უმფროსს შაჰყულოვს, რომელიც იყო სომეხ კათოლიკეს ტიპიკონზე ნაკურთხი და იყო დიდი სომეხილი და სომეხებს ძრიელ ეხმარებოდა, ამან ურჩია ველელი ქართველელებს ქართულ წირვა-ლოცვისათვის თავიდაენებებინათ და შემოელოთ სომეხური და გადმოსულიყვენ სომეხ-კათოლიკების ტიპიკონზე. ასე ამ დღიდან ველალმა ქართველებმა სამშობლო ენას თავი დანებეს და შემოიღეს სომეხურათ ღვთის სამახური აღსრულება. იმ დროსვე განდევნეს შაჰყულიანის წყალობით კავკასიამ პატარები მისიონერები და გამარჯვებულმა შაჰყულიანმა შემორეკა და თვითონაც საჩქაროთ გამოაცხო ბევრი სომხის ტიპოკონის მღვდლები.—

ასე, სათათრეში თათრის მთავრობისაგან, აქა საქრისტიანო მთავრობაში სამღვდლო პირებისაგან ქართული ენა და ქართული რელიგიური წეს-რიგი იქნა ველელებში სრულობით მიგდებული და გამეფდა მაგათში სომეხურ ენაზე წირვა ლოცვანი და სათათრეთილად გადმოტანილი თადრული ენა, რომელიც იმათში ახლა ითვლება შინაურ ენათ ამ ოთხ სოფელში.

ეს ოთხი სოფელი ლაპარაკობს თათრულ ენაზე და თავიანთ თავს სთვლიან ფრანგებთ კათოლიკეს სასრწმუნოებისა, მარამ მათ ჩვეულებაში, ენაში და სახელ გვარებში მაინც ბეუტავს ქართული სიტყვები და გვარები, მაგალითათ: ოქროათი, ყარაბანათი, ივითხანათი, ბერუკათი, სუმბულათი, ხაშოთი, ასლანათი, და სხვა.

ამის გარდა ერთი მოვლენაც არის შესანიშნავი, იმათში რომ ისინი ქართველებს და ნაქართულად თათრებს უფრო პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე სომეხებს და სომხის კათოლიკესაც კი. ველელები ტელათაც და ახლაც ერთმან ერთში უფრო ხალისით ქალ იღვვიან ვიდრე სომხის კათოლიკეს სასრწმუნოების მეზობლებთან ამ შემთხვევაშივე ველელებს უფრო ხიზმავერელ ქართველ-კათოლიკებთან კავშირი აქვთ, ვიდრე ახლო მეზობ-

ელ სომეხებთან, მეტათ ამ უკანასკნელებისგან ძალიან შორს უქირავსთ თავი.

ს. ბავრელი.

ქველი სასულიერო მწერლობა.

იოანნი ფილოსოფოსისა პეტრიწისა. მიერთქმულნი აამბიკონნი.

(პროლოგი)

ლოცვამან ანა

რომკორიკორი დალატ ეფეს ფილიპე-
ქოლას თესალი თესალი ტიმოთებო
ტიმო და ტიტო ფილი ებრაელ ათით.
იაკობ პეტრე ორ დასამ იოანნი.
ჰიუდა შვიდ შემდგომად საქმეთა:-
ძალწულთა შორის დედა ხოლო დედათა
ძალწული მხოლო ახალი მზესა ქვეშე-
ანას საშისოდღეს განხსნის კრულებასა.
მისსა წიდასა გენთლიას იშვებს.
მჩობლთა სოფელთა შემცვლელი სფერა-
ძალი სიმაღლედ სიღრმედ სივრცედ და ხაგრძელ
მიპყრობილი ღვთისა სამ ნაწილად ნიში.
ამაღლებული მრგვლავ წმიდა ლობს ეთერსა
ჰამაპყრობად აქვს დღეს განხსნილი მღვდელ
ოქროს სახელი ქერაბინებო პირი:-
ამასვე დღესა მოწამე პაპა მათ თანავე:
ბევმათა შინა ღმერთს შევედრებს სულსა
და პლაკილაცა დედუფალი ნეტარი:
თანა მეცხედრე დიდისა თეოდოსისა:
ქეთილ მსახურად მეფედ მოიხსენების:-
ხმა განსმენილი ქალწული ეფემია:
შემდგომად მხეცთა შეუხლებლობისა:
სტადიონსავე შინა თვითა მისცემს სულსა:
მეორე იობ ვესტათი სტრატიატი;
შვიდთა წილ მისთა ხუთდა ათწელ განცდილი
სხედრეულით და ძეგბითურთ კუროსა:
იპოვებს ეტლად და განვლის ცასა ვითარ
მზე მთოვარითა ორთა მთიებთა თანა:
საკვირველებით ხმა განსმენილსა ფოკას:
თავწარკვეთილსა ცეცხლი ესაფლავების:-
და იონაცა სამ დღე მევეშაპის მუცლე:
წინევს ქადაგიხოლო სენარს მომკვდარი:
დაეფლვის ქვაბსა ვენეზიის ვისსამე:
მღდელსა უტეება ხოლო მთიებსა საშიოჲ
მიითვალვენ დღეს რათა ცნა დასახონ:-
ძალწულეებრივით ღრუბლით აღმოსვლა მზის
აღმსარებელი ევსევი მახვილითა:

ზინა ნივითა გინა ნივითერ ნივითა:
 მესამის ცისა მომხეტო მბრძოლისა:
 მლისაბედებერ ეწიალების კლდესა:-
 მთეროენისა სფერისაგან სმენილთა
 მუხილთა ძემან სიტყვისა მკრდის ზედამან:
 ძალწულმან ხმლისა ქალწულისმან ნაშობმან:
 დაუსაბამად ღვთად ხისა ღვთისა მეტყველმან
 ზინა ვითარცა გინაცა დაილიმილი:-
 მოსე ფარაოს გრიგოლის თრდატი ღმერთი:
 ზარდაიქმს ნივითა სცვლის აგებულობათა:
 იენებს მოწამებერ ხოლო მოქმედებერ მღვდლებერ:
 ისრაიტელ ყოფს ხველსადმე შეგვიპტელსა:
 და ღრმით სიბერით შერებების ღმერთსა:-
 ზიზღვევად კნინდა კიპრიანე გან განგმელვათ:
 ხატრფიალოსა არა თუმცა ტრფიალი:
 ტრფიალებასა საღმრთოსა ეტრფიალა:
 რომლისათანა დღეს იენებს მახვილითა:
 ღმერთ მამაკაცებერ მოქმედისა სიტყვისა:-
 ჩინებულსა გვერდსა განმხილველი მარჩბივი:
 ღინდოთა პართთა და სპარსთა ქადაგი თღმა:
 თანა წარყვების ლახვართა წყლულულებასა:
 აღმსარებელი ნიკიტა პატრიკიცა:
 შემდგომად და თელფანე ძმანი:
 პირ დაწერილნი პირველ მათთანავე ღვაწლთა:
 თანა წარყვების და თეოფანე მწყესებერ:
 არვეობს ქრისტეს ეკლესიასაველთა:
 მუსიკთა თვისთა ხმატბილად ხმა ეემითა:-
 ღმერთი ეშმაკთა ამბერკი ღთაებერ ნივითა:
 ხცილა ურწყუმად დღე ნივთნი ნივითავე:
 შეარწყვნა ხოლო სული ზენათა ჰალთა
 შვიდ ერგასისადა ოცდაორწელ ეფესოს:
 შვიდსა მშვიდობით მიძინებულთა ყრმათათა:-
 მებაბი პირველებერ მეორე დაისაფლეს:
 ხმობს სიკვდილისა ორღანოთაცა ღმერთსა:
 ძელითა მკვდარსა ძელითავე მოკლული:
 ხამპურკენელთა ჯვართა ვნებულსა:
 ძრისტეს იაკობ განგებულეებით ძმასა:-
 და თეოდოტის მახვილი განსკრის ნივითად:
 ხოლო ეგნატ განთქმული მწყემსთა მწყემსი:
 ვიზინტის მშვიდობით დაიძინებს:
 მხეცნი სისხლითა პორფირ ქმნილი არეთას:
 ღღეს მეფობრივსა დაადგენ შარაჟინდსა:-
 ხოლო მისთანა თას პრჩობლს ერგასთა:
 მნებათა გვარნი ათითო სასებენ:
 ღმერთის მრწემი მაქსიმინეს მძლავრი:
 ღვთს მკვლელი თვით ქრისტეს მის მომკედარ:
 ღღეს მახვილითა სამყაროდ მსრბილობს ნესტორ

მირონთა წყმად დანიშთა ნათლის სახივად:
 ამიერ ცისათ იმიერადმდე მისსა:
 მღვიან ღრუბლებ დაშის ფერებერ მამფენი:
 ლახვრითა ქრისტეს მსგავსად ვნებული მისთვის:
 მთერის მკვეთლობს: დღეს დიმიტრი თეტრალი:
 მქროსა ცის მზე ოქროსა შარაჟინდი:
 მქროს პირით ოქრო მუსიკთა ხმათა:
 მქრო სიტყვათა ოქრო ანტლატიკოსი:
 მქსორობად ეტყვის გიხაროდენსა:-
 მღვდელი მთავრობისა ნეტარებისა მილის ეკ-
 ორისთანა:-
 მიცვალებასა მეზუერე მახარებლობს
 იესოს ქმნისა სწერს წიგნსა შობისასა.
 მღვდელი მთავრობისა ნეტარებისა მილის
 ევორისთანა:
 მიცვალებასა მეზუერე მახარებლობს: იოსოს
 ქმნისა
 სწერს წიგნსა შობისასა. სიტყვასა ხორცად ხორც
 ქმნილსა სიტყვად მასვე მოძღვრის პართ მიდთა მატ-
 თე დი თვით მშვიდობით შემდგომათაცა სცვალებს
 საუკუნოდ მხატვრობა ეტყვის გამომისახეთ ხელი
 დიდი ვასილი აქებდეს რა ვარლამს მძლე ნაკვერ-
 ცხალთა რომელმან სული ლოცვით ხელთუღვა
 ღმერთსა შემდგომად ტანჯვათსა:—
 ტამარი ტამრად ქალწული ქალწულებთა.
 სიბრძნისა ღვთისა დღეს სოლომონიანად შეყავს
 აბელ მართალი ზაქარია იოაკიმ ანნას თანა მწყუ-
 ბრობით ყოვლად მსფლიო ჰყოფენ კრებასა ამასა:
 თვით პეტრეცა მოციქულითვე და ძმად: წო-
 დებით სხვათა მიერ კერძოდ ანდრია იესოს ნიშთა
 და ვნებათა თვით მხილველი. თესლ სამლოთოთა მათ
 ტომთა მიმკერელი ღვთისა. პელიპონიოსის ჯვრით
 იენებს მოძღვრებერ:—
 ეკეკუმერა.
 მვირამთ მსოფლიოჰ საკვირველება დიდი აღ-
 ამავალი მარტვილობისა ოფლთაჲ ჰერთა. ზღვი-
 სა და ხმელისა კვართა მისებრვე ცათა განვლის
 დღეს ნიკოზ:—
 საბა ეფთვიმეს ელისე ელიასი უდაბნოს მსხე-
 მილავ რის მაშვენებელი. სათნოებისა გუართა ერ-
 თმამამობითა საზომად იესოს ასაკისად აღსრული
 დღეს ხატებასა ხელთ უღებს ხატმყოფელსა:—
 მზეებს ნიშებთა შარაჟინდი სპირიდონს ერთარ-
 სებისა სამ ღვამ ბრძოლობს ნიკიას იავარ სიტყვის
 ჰყოლს უტყვებით რიტორთა და მშვიდი მშვიდთა
 მშვიდობით მიეაღს სოფლად სეინეტის თაგსა მახ-
 ვილი ემპირსეა:—
 (გასაგრძნობია)

**საპარტიალოს მთავარი დივიზიონისა და
თავმჯდომარის იანაქოვის მხარის ანგარიში**

1125 -
- 1156

შენის დაფინანსება. აშინებს ასურსა. ისვენებს ქართლი ნისლს ნაკადულებო ორბობს მოხუცი მღვიმე ფრთებობს სამყაროდ იბერწისწულებს. მრავლად უდაბნის ესე სულსა აღეთისებს მტურისა მტუჭერად დამტევი

ცასა ბეწვითე ეკიდა ვნახე კაცი. და მასვე კაცსა შუბი სწვერსა დარბაზი ედგა. მუშლსა ზედა ჯდა მინდორსა ქურციკსა სდევდა. და ზღვისა ზედა ცხენითა მოარბევდა. და ესდრე ლაღადებდა. ღმერთო შენ კურთხეულხარ;

ღვთის მშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა ქალწული შეგენიერი შროშანი მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი. შენგან იშობებდის მუფუფე გვირგვინოსანი და მას მონებდნენ მეფენი მრავალ ყმოსანი;

შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული ნორჩი კეთილი ედემსა შინა დანჭრელი აღივა სუნელი სამოთხით გამოსული ღმერთმა შეგამკოს ვერვინ გჯობს ქებული და თავით თვისათ მზებარ გბრწყინებული;

ნაშრომი საშრომ მშრომელი უშრომ მეფეთაგან მცნობი აწვერ საცნობი ვიშვე ვისადვე შევედ მისაოვე;

საზოგადო მომოსილვა

რუსეთი — სახელმწიფო სათათბირო შესდგა აღრესიკ წარუდგინეს მაგრამ სამინისტრომ სახელმწიფო სათათბიროს აღრესხედ არ დარჩა კმაყოფილი. იმპერატორ არაერთი ვანკარგულება მოუხდენია ამნისტიაზე.

საპოლიტიკო მკვლევლობა ხშირდება: მთელი რუსეთის შიმშილის მოვლის. სათათბიროში მრავალი კონსტიტუციონალური სიტყვები წარმოითქვა ჯერ ნაყოფი არარის.

საფრანგეთი: ხელი მოაწერეს საფრანგეთის მთავრობამ და კუბას რესპუბლიკის წარმომადგენლებს პარლამენტულ ინტერესების ხელ უხლობის თრატატზედ. შეთანხმდნენ.

ავსტრია-უნგრეთი პრინც ჰოენლო: იქმნა დანიშნული პრინციპითა პრესიდენტათ. გამოაცხადა რომ

პირველი პუნქტი მისი პროგრამისა არის რომ შესცვალოს ამორჩევის სახე დამყარდეს საზოგადო ამორჩევის უფლებათედ. ყველასთანსწორად შეეძლოს ხმის ქონვისა და ნება ამორჩევისა.

მონტენეგროს პრინცი ნიკოლამ ინახულა იმპერატორი ფრანც იოზეფი. ალპინის მთათა და სასაცველად მთავრობამ დაარსა მკველნი რომელნიც შესდგება 360 კაცით

გერმანია გერმანიის ეურნალ გაზეთები ლაპარაკობენ ვილელმი II ის მგზავრობაზედ და იმპერატორ ფრანჩისკე იოზეფის დარბასობაზედ. საპოლიტიკო მნიშვნელობა იქმნება უთუოდ ამ მგზავრობას.

იტალია იტალიის მთავრობა შეთანხდა საფრანგეთის მთავრობასთან და შემწეობა მფარველობა დაჰპირდა სათათბიროში მყოფთ კათოლიკე ბერ მონახონთა.

სათათბირო სულთანის დათანხმდა ინგლითელის მთავრობის მოთხოვნილებას რაც შეხებოდა ეგიპტის სამნებს.

საქართველოს ამბები.

ქ. თბილისში სათათბიროშია ამომრჩეველთა ამორჩევენი გათავდა სოციალ დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

ქუთაისშიც ვერეთვე. კერძო მკვლევლობას ბოლო არ ედება საომარ გენერალ-გუბერნატორს ყუმბარა ესროლეს 1 ყაზახი მოკვდა. თვითანგადაჩრა.

ქუთაისში გენერალ გუბერნატორს აღიხანოვ იავარსკის. ყუმბარა ესროლეს ყაზახები დაიხოსენ გუბერნატორი დაიჭრა თფილიში თვი სასახლეშია. ჩამოიყვანეს.

გაბრიელ მანსკოვოსის მიწარ მოწერა!

გაბრიელ ებისკოპოსის წერილი თ. გიორგი კოსტანტინეს ძის მუხრან ბატონის მიმართ.

მოწყალეო ბატონო კნიაზო გიორგი!

შენი წიგნი კე-სა ოქტომბრიდან მე გვიან მივიღე, რადგან შეცდომით აღრესი გურიის ეპისკოპოსთან დაგეწერა, მაგრამ პირი მისი კარგა ხანია წამიკითხა კ-ზ გრ. დადიანმა ამ შენმა წიგნმა, კარგი — ქართული ენით დაწერილმა, გაამტკუნა ზოგიერთი შენი ბროშურის წამკითხველნი, რომელნიც ამბობდნენ: უთუოდ მან კარგათ თვითონაც

იქნის ის უბედური ქართული ენა, რომელსაც სხვათა შორის უწინასწარმეტყველა მოსპობა და გაქარვება, მე კი აქვე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ეს ჩემი პასუხი არ არის ისეთი კარგი ენით დაწერილი, როგორც შენი წიგნი. ამასაც დაუმატებ: პასუხის წერას შეუდგე არა უსარგებლო ცილობის და ამო თავის მოყვარებისა გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ იქნება ამ ჩვენი ურთიერთ შორის ბაასით ქვეშარიტება აიხსნას უმჯობესად. მე მაქვს. სახეში ვის მიეწერ ამ წიგნს. ვიცი წინათვე, რომ ის მაღლად განათლებული პირი, რომელსაც ამ წიგნს ვწერ, საწყენად არ მიიღებს ჩემს წერილს, თუმცა-ღა იგი არ ეთანხმება მის აზრებს.

მაღალს და ვრცელს მნიშვნელობას აძლევ ენას, როდესაც იტყვი! „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოდ ხალხისათვის ის არის, რაც სული ბორცისათვის“. სგვა ვისმესათან, არა ისე განათლებულთან და ლოდიკის მკოდნესთან რომ მქონდეს ბაასი აქ, მე ამ სახით უპასუხებდი: თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისათვის მისი მოსპობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მისს შეკეთებას, გაერკვლებას, დამარხვას და არა დაკარგვას და აქვე მოვიყვანდი საშლთო წიგნისაგან ამ სიტყვებს: „რა სარგებელი არს შეიძინოს კაცმა სოფელი ყოველ-და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს, კაცმა ნაკვლად სულისა მისისა“? მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა პასუხი მე შენთან არ გამოევა. შენ მაშინვე სიტყვას გამოწყვეტ მიპასუხებ: „თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ მკირე ხალხის ენა მოისპოს და დიდი ხალხის გაერკვლდეს, რაც გინდა იწუხოს და იზრუნის პირველმა, ბუნება მის წესზედ ვერ გადავა“. მართლა, თუ ის აზრი რომლიცაა შენ ამტკიცებ ბროშუარშ-ბუნების კანონი არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ბრუნება და ლაპარაკი. ბუნების წესი, თვით ღმერი მის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულ ერთია-მოგწონს თუ არა მისი კანონი მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომის მოვლენა (მკირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნებითი წესი? ეს შენ ბროშუარში ამტკიცებ მარტო ლოდიკური ფორით (терпению), მართალია ღრმად მოსაზრებული და ლონიჭად გამოთქმული თეორიით, მაგრამ მაინც თეორიით, იმ შენი თეორიის თავსაკიდური აზრი ესა არის: „სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი (одно органическое тело), ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა,

მაშასადამე ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში; წინააღმდეგი შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაღალი და მკვიდრი. ეს აზრი თეორეტიკულია, შედარებით ანუ დამსგავსებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სახელმწიფო ორგანიზმი არის მაგრამ ასო-ასოდ არ მიიღება ეს დამსგავსება. მართლა, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ესე იგი ადამიანთა. რაც გინდა მკვიდროთ მაგრამ იყენე იგინი შეერთებული ასო-ასოდ ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს, თუ არა ამ შენ თეორიას? შენ ჩემზე უკეთ იცი, რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებთან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ესე იგი ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება, მართალია, შენ წიგნშიკი მოიყვან რომელთაზე ფაქტებთა დასამტკიცებლად შენი თეორიისა (იმათ განვიხილავ ქვემოთ), მაგრამ ბროშუარში ფაქტები არ მოგყავს; მხოლოდ ამბობ; ისტორიული განხილვა მეორე ნაწილში იქნებაო, თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერაოდეს ვერ ახსნის მრავალ-ფეროვანსა, მრავალ კერძისა დაუცხრომლად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივს ისტორიულ ცხოვრებასა. ახლა გადავალ ფაქტების განხილვასაზე და, რომელთა შენ მოიყვან წიგნში. მაგრამ წინაპირვე-ველად ჩემი მხრიდ მოვიყვან აქ ერთ შესანიშნავს, საზოგადო ფაქტს: დედამიწის ზურგზე დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამომდე და ახლაც ჩვენ დროებაში არც ოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობ. დენე ერთი ენით: ყოველ დიდ-დიდ სახელმწიფოში ყოველთვინ, და ყოველგან გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წერილ წერილნი ენები; გარნა ეს გარმოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. მარტო ამ გარმოებას სახელმწიფო არსად არ დაურღვევია, არც დაუსუსტებია. შენს წიგნში მიყვანილი ფაქტები, ჩემი შეხედვით, არ ამტკიცებენ შენი ბროშურის თეორიას, არამედ იმის წინააღმდეგს. შევიცარიას უჩვენებთ და იტყვით რომ აქ სამი ენა არისო, და ამისთვის აქ ერთი მკვიდრი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ სთვლი? ანუ თუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა? ვგონებ შევიცარიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით და თანხმობით საესე სახელმწიფო არცა არის ევროპაში. მართალია ავსტრია, რომამე-

ლსაც შენ მოიყვან შემდგომ შეიცარიისა მაგალი-
თად, თითქოს შენს აზრს ამართლებს. ავსტრიაში
სამი თესლი, ანუ ენა: ნემცტური, მალიარული
სლავიანური ერთმანეთში უთანხმოდ და სიძულილით
სცხოვრებენ; მაგრამ აქ ენების განსხვავება არაფერ
შეაში არის, არამედ სხვანი ისტორიულნი მიზეზნი
და გარემოებანი. ზემხსენებულნი სამნი თესლი
მახლობელ დროებაში შეადგენდნენ სამთა მძლავრთა
სახელმწიფოთ. მერმე ხელოვნებით, და არა ბუნებო-
თისწესით, იქმნენ შეერთებულნი ერთ ხელმწიფის
ქვეშე. საუბედუროდ მათა, მართებლობა სწორი
სიმართლით (равноправно) არ ეპყრობა ყოველ
თესლებს: ნემცტები და მალიარები ავიწროებდნენ
ჩეხებს და სხვა სლავიანებთა; ბოლოს ერთმანეთშიც
აქვთ შური და ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა
(გეგმონია), ამ მიზეზებით და არა ენის განსხვავებით
არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი. ისტორია,
მართალია, იხსენეს მრავალთა თესლთა და ენებთა,
რომელნი თითქმის განქარდნენ ისტორიულ ასპარე-
ზიდან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა,
მტერებისაგან შევიწროება, იძულება, ამოწყვეტა!
თუ ამ სახით ენის მოსპობს უწოდებ შენ ისტო-
რიულ კანონად, და წესად მაშინ წინააღმდეგს ვე-
რაინ დაგომტკიცებს. ამ სახით მოისპო გალლების
თესლი და ენა, რომელსაც შენ აღსენექ წიგნში.
გალები ნახევარი ამოწყვიტეს და დაფანტეს რომაელე-
ბმა, ნახევარი ფრანგებმა; მაგრამ ამბობენ, რომ ფრან-
ციაში, ესე იგი ნორმანდიას პროვინციაში ახლაც
არაინ ნაშთნი მათის თესლისა (კელტები), რომელ-
თაც ენაც აქვთ შენახული მათი ძველით.
რადგანც ფრანციას შერია სიტყვა ამა ერთი შესა
ნიშნავი ჩვენი საგანის ასახსნელათ ფაქტი: სუყვე-
ლანი ამბობენ, რომ ფრანციასთანა ერთ-გვაროვანი
სახემწიფო არ არის ევროპიაში; მაგრამ აქაც, სამ-
ხრეთის ძეგლი, ისპანიის საზღვრებთან ახლაც
სცხოვრობს ერთი ძველი იბერილის დანარჩენი ხალხი,
სახელათ ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველ ენ-
ას ხმობენ, ასე რომ სასამართლოებში მათ ფრან-
სი კოული შეთარგმანე უნდებათ. გაშინჯე, რომ ევრ-
ოპის პირველმა ენამ ვერ მოსპო ბასკების ველური
ძველი ენა, რომელსაც ხმარობს ერთი მუჟა ხალხი,
ოჩი-ათასი წლის გამამელობაში; რასაც შენ ამბობ
შეორე ნაწილში შენის ბროშურისა იმაზედ, რომ
მცირე ხალხისათვის მიუკალღებელი საქიროება და
სარგებლობა არის შერთება დიდ ხალხთან მისი ენ-
ის სწავლა, ენით ენით განათლებისა მიღება გა-
ნაღებისა ეს-ყოველი დიხ პატარისანი და კეშმარ-

იტია, თუ გინდა ბუნების წესი და კანონიც არის
ბუნებაში ყოველიფერი სუსტი და მცირე ეძიებს
შეერთებას და განძლიერებას უღონეერესას და უძ-
ლიერესის შემწეობით: სხვათა საბუთი დამტკიცება
რომ არ იყვეს ამ აზრისა, მარტო ჩვენ ქარაველთა
მაგალითი და გარეეობა ცხად-ჰყოფს ამ ჩვენი ხა-
ლხი და ქვეყანა რომ არ შესულიყო ძლიერი რუ-
სეთის ხელმწიფის ხელში ახლა ჩვენ შთანთქმული
ვიქნებოდით მაჰმადიანების იბნელეში იმი სწინააღმ-
დეგვინ იტყვის, გარდა ჰკუთით დაბნედეულსა! და თუ
ბუნებას მართლა ისეთი წესი და კანონი აქვს, ლე-
თისაგან მიცემული, რომ მცირე ხალხის ენა და თე-
სლი უთუოდ უნდა შთანთქმული იქნეს დიდი ხალ-
ხისაგან, კურთხული, არას დიდი და მოწყალე ღმ-
ერთი, რომელმან არ დანება ჩვენი ტომი შთანთქ-
მად თათრებისა და ყიზილბაშებისა, წყევლთა და
შეჩვენებულთა და (იმათ მაგდენი სტანჯეს, აწვალეს
და გარყნეს ჩვენი მამები, შემედება მათი დაწუ-
ვლა); დეე ისევ შთაინთქათ ვრცელი რუსეთის ზღ-
ვაში; მაგრამ არა შერთება (слияние) სხვა არის, და
შთანთქმა სხვა, ყოვლისფერით შეიძლება შეერდეს
მცირე ხალხი დიდთან: სულით. გულით. აზრით ინ-
ტერესებით; მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება
და არც არაფერს დამშებს, ანუ დაუშლის ენა ამ
პირობას შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თბვის
ღარიბი ენის საშუალებით ვერ მიიღებს ცივლიზაცი-
ასა... განა არ შეიძლება, რომ დიდი ხალხის ენით
მილოს. კაცმა სწავლა განათლება და მისე ენაც არ
დაივიწყოს! რა დაგიშალა შენ ქართული ენის ცო-
დნამ! დიდი განათლება მაინც მიგიღია რუსულ
ფრანცული და სხვა ენები საშუალებით, და შენ
ენაც არ დაგიკარგავს, ამ სახითვე იქცევიან ყველ
ნი პირნი, დიდი განათლების შეძიებელნი,
ხალხის ხალხთან ერთობა (слияние) მარტო ენი
არ მოხედება, არც დაპროკოდება ამას გვიმტკიცებს
ისტორია ცხადად, ენაზე უდიდესნი არიან სხვან
კავშირით რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრამ
ხალხთან და ტომთან; შინაგანი კაცის და ხალხის
გრძნობა აზრი ხასიათი ენაზე უდიდესია: ენა არ
მხრლოდ გამამტქმელი, გარეგანი სახე თუ სიყვე-
რული, ნდობა, ინტერესები ერთობა არ შეაკავში-
რებენ კაცს კაცთან ხალხ ხალხთან ენა იქ ვერაფერ
იქს, და სუყველა ამაზედ უდიდესი, გაუწყვეტელ
კავშირი ხალხთა შორის, ჩემი აზრით, არის სჯულ-
აღსარება თუ ერთი რჯულ და აღსარება აქვს ო
შერთებულ ხალხს, ამაზედ უმეტესი კავშირი ს
აღარ იქნება მათ შორის შენი ბროშურის აზრს

უკაცრავად არ ვიქნები ამის თქმით, ის ავნიებს რომ იგი არის გამოთქმული კატელორიულით (категорически), ანუ აქსიომის შესავსად (как аксиома) ე. ი. არა აქვს განსაზღვრება. აქსიომები მართო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი, მართლა პირველად მცირე ხალხები სხვა და სხვა ნაირი არიან. მათ შიკ დიდი განსხვავება დიდი განსხვავება არის. ჩვენც, ქართველნი და სომეხნი მცირე ხალხი ვართ ერთი მხრით;—მეორე აფხაზნი, ოსნი ლეკნი, ანუ, ვთქვათ რუსეთში მორღვა, ჩერქმისი სხვანი-მცირე ხალხნი არიან; მაგრამ ნუთუ ორივე ამლრუპპ (группа) ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესახება მათინის მეორე ღრუპპის ენები არიან უკიდურესად მართლა ღარიბნი, მათი ენით არც ერთი განუყენებული (отвлеченная) აზრი არ გამოითქმის: ანბანი და წიგნობრობა მათ არ აქვს ლიტერატურა მით უმეტესად; თითქიის მამო ჩვენო ხერიანად ვერ გადაითარგმნება აფხაზურ ენაზე, ისტორიული თავის ცნობა (историческое самосознание) მათარ აქვთ, ერთი სიტყვით, არცერთი ელემენტ არ აქვს მათ ენას მყოფობისა, ანუ არსებობისა ამის, თანა ხალხებზე მართო რომ გეთქვა ის აზრი შენი მაშინ არ გაუძნელდება კიდევ კაცის გონებას მი, ლება მისი, მაგრამ ქართულს, სომხურს და ამათ მსგავსთა ენათი ზედაცა თუ გავრცელეთ ის აზრია მაშინ არავე არ შეიწყნარებს მას. ქართველის და სომხების ენა თუმცა მცირე ხალხის ენები არის-მაგრამ არა ღარიბთ; ამ ენებს მწიგნობრიბა ლიტერატურა, საღმთოწერილი და მრავალი წმ. მამათა წერილნი ნაიარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვს ორი ათასი წლის მეტი ისტორია; ისინი იყენენ ოდესვე თვით მდგომარენი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით აქვთ მათ ყოველნი ელემენტნი არსებობისა და სიცოცხლისა ამისათვის მათი განქარება ძნელად საფიქრებელია შეუძლებელია.

მეორე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისთვის, რომ შესაძლებელია და მრავალ გზის მომხდარა მცირე ხალხის ენის შეერთება, ანუ უმჯობესად, გადასვლა მისი ერთ გვაროვანის მაგრამ განსხვავებულის დიდ ხალხის ენასთან; მაგალითებრ, მალაოროსიული ენის დიდი როსიულ ენასთან, მეგრულ ენის ქართულთან, და სხვა. მაგრამ ეს იქნება ენის გადაკეთება და გაკეთებაც და არა განქარება. თვით პოლშური, ბოლღარული, ჩეხული, გალლიანური და სხვა სლავიანების ენები რომ გადაკეთ-

დნენ რუსულ ენად ესეც გასაკვირვებელი არ იქნება; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მოვლენაც ძვირად მოხდება. უფრო შესაძლებელია და უფრო ხშირად ამისი წინაღობდეგი მომხდარა, ე. ი. ერთი ძირი დედიენას მრავალ შტოებად განიყოფა, გარნა ორი, სრულიად სხვა გვარის ენა რომ თავის თავად, გარეშე ყოველის იძულებისა განქარდეს და მის მაგიერად სრულიად სხვა გვარის ენა რომ მიიღოს, რამც გინდა მცირე იყოს, ხალხი ეს შეუძლებელია მოეტებული ცენტრალიზაცია როგორც ყველგან მავნებელია, ისე ენებშიაც მომეტებული დეცენტრალიზაცია არ არის კარგი; მაგრამ ისევ ეს სჯობია პირველს ე. ი. ცენტრალიზაციას. ამისათვის მე ვგონებ, მავნებელი იქნება ისაც, რომ ენები მცირე ხალხების სულ განქარდეს, და დიდი ხალხების დარჩეს. შესამე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისთვის, რომ მცირე ხალხში ყოველნი დაწინავებულნი პირნი, თავად-აზნაურნი, საზღვდელონი ხშირად იფიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხს ენას მიიღებენ, და არა მთელ ხალხი მასსით (массою) ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი მაგალითებრ, დილოში ანუ კულაში იმერეთში. აქ გლეხი კაცი, და ქალი დაიბადება, სიცოცხლეს ატარებს თავის ოჯახში თავის ენით, ათასში ერთხელ ვერ გაიგონებს სხვა ენას; რა სახით, დაივიწყებს ის მის ენას? შკოლები მოაშლენიებენ მათ ენას? შკოლა სოფლისა ვერასოდეს ვერ იმოქმედაბს, ისე, რომ თავის ენა დაივიწყოს. სხვა არის, როდესაც გიმნაზიაში, აკადემიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებენ თავის ენას; მაგრამ, ამისთანა მაღალი სასწავლებელი, არასოდეს არ ყოფილა მთელი ხალხისთვის გასხნილი, არამედ ათასში ერთისთვის. მე მგონია, რომ რადგანაც შენ იურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული დიდ-დიდ სამოქალაქო საქმეებში ამისათვის ნამეტარი ფიცხი იდეალი (идеаль) შეგიყენებიათ სახელმწიფო მკვიდრეობაზე. ამ შემთხვევაში შენზედაც ითქმის ის ანდაზა, რომელსა ანბობენ შენებრ ფიცხელ იურისტებზე: *pereat mundus fiat iustitia* *perea mundus fiat iustitia* (ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ სიმართლე კი აღსრულდეს.) ქვეყანა თუ დაიქცა სამართალი ვისთვის აქნება საკირო. შენ ერთი მხრით, ასე ამბობ: სულ ყველა მცირე ენები განქარდეს, მხოლოდ (ოღონდ) სახელმწიფო გამაგრდესო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით სახელმწიფო ვერ გამაგრდება. თუ კიდევ უკაცრავად არ ვიქნები ამის კითხვაზე,

წავიკითხავს თუ არა უცხო ფილოსოფოსის დეონ სტიუარტი მილლის (Джонъ Стьюртъ Милля) თხზულება თავისუფლებაზე (о свободѣ), მესამე თავი, სადაც ის უცხო ამტკიცებს რომ ინდივიდუალობა (индивидуальность) ესე იგი ყოველი საკუთარი, განმასხვავებელი თვისება, ხასიათი საკირო არის ყოველ კაცის (მაშასადამე ხალხისათვის) კეთილ ღვაწლისათვის და ბედნიერებისათვის. ხალხის ინდივიდუალობის უშთაერესი ელემენტი არის ენა. მაშასადამე, ისიც საკირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცემა არც მკირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისთვის, რომლის ენას მკირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი. მკირე ხალხი რომ შეერთდება დიდ ხალხთან რაიმე მკირე მაინც თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდს ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდხალხსუსარგებლო ტვირთიდაედება კისერზე; როგორც რომ კარგ მუშა, მშრომელ ოჯახს ეშველოს ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მისცემს გარდა მისა, რომ ოჯახი ნათლარ პურს შეაქმას. მკირე ხალხი, მოკლებული თავის ენასა, იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალური ხასიათითა და თვისებითა უსარგებლო იქნება თვისთინაც და სხვისთინაცა როგორადაც კერძო პირი, არა მქონი პირადი თვით-მდგომარეობისა (личная самостоятельность) ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს, ამ ჩვენ ურთიერთ შორის მიწერ მოწერას ვგონებ შენ არ აძლევ არავითარსა პოლიტიკურ მნიშვნელობას სა, ვითარცა მეც არ ვხედავ მას შინა სხვა არაფერ-შელოდ ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბაასა, ახლა ისეთი დრო დადგა, რომ თვით უბრალო მეგობრულ ლაპარაკში ეძიებენ ზოგიერთნი პირნი პოლიტიკურ განზრახვას, ამისთვის დაეთვალე საკირეოდ ამისთქმა. ბოლოს ერთ ბოდიშს კიდევ მოვიხდი. გძელი წიგნით თავი მოგაწყინე; მაგრამ ისეთ საგანზე ვლაპარაკობ, რომელიც შენ გიყვარს, და რომელზე ბაასი არ მოგეწყინება. ამისთვის გაუბედვრე გძელი წიგნის მოწერა. უკაცრავად ვარ აგრედვე, რომ ცუდი ხელთ-ნაწერ არის ეს წიგნი.

(გახანძრება)

საპარტიზო საზღვარგარეთ და რუსის მხარისათვის.

(შედეგ) იმ. გვარი ვახს № 7

3) თანახმ ნიქოზელის დაუდევრობით ნიქოზის

ტაძრიდამ დაიკარგა ძვირფასად შემკული ოქრო-თვალ მარგალიტით ძელი ქეშვირის ჯვარი, 1789წ. ივლისში. ამიტომ მეფე გიორგიმ ჩამოართვა საყდარი და ნათლისმცემლის უდაბნოში დააშწყვილია. 1802წ. დავით ბატონიშვილმა შეიბრაღა და დაუბრუნა ღირსება და საყდარი. ანტონ კათალიკოსის უნებურად. მოვიდა თუ არა მთავარმართებელი ციციშვილი, ათანასი ფიანდაზიით ფეხქვეშ გაეშალა და მისი ყურ-მოკრილი ყმა გახდა. რასაც ჩისახებდა ციციშვილი, ათანასისთვის კანონი იყო. 1804წ. 10 აპრილს ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი ეფთიმე მიიცვალა. გაიძვერა ათანასემ მაშინვე არზა მიართვა ციციშვილს— „მე ეპარქიის მოვლა არ შემიძლიან სიბერის გამო, ნათლისმცემლის წინამძღვრობა მიბოძეო. ან არა წელიწადში თორმეტი თუმანი მომეცით ულუფა წელიწადში“. ციციშვილსაც ეს უნდოდა და მაშინვე მისწერა ანტონ კათალიკოსსა ნათლის მცემლის წინამძღვრად ათანასე დანიშნეო მაგრამ დაუგვიანდა ციციშვილს: ანტონ კათალიკოსმა დანიშნა სტეფანე რუსთაველის წარმოდგენილი დომენტი არხიმადრიტი. გააცეხლდა ციციშვილი და მისწერა ანტონს— ათანასეს თხოვნა მე უფრო ადრე მივიღე ამიტომ; ათანასე დაუნიშნეთ თორმეტი თუმანი წელიწადში სანამ ციციშვილსა. ნიქოზის ეპარქია სამთავროსს შეუერთეთო... ანტონმა ექვსი თუმნის მეტი არ დაუნიშნა ათანასეს. ციციშვილი გაშმაგდა, ექვსი თუმანიც თითონ დაუნიშნა, მაგრამ ერთი საშინელი დავიდარაბა კი ატება. იმავე აპრილის 24, 1804წ. № 25 მოახსენა იმპერატორს: „... ამასთანვე ვალი მაქვს უქვეშემბრომლესად მოგახსენოთ, რომ ამ ნაირის გზით თავის ნებით ეპისკოპოსობიდან გადადგომა, ჩემის ფიქრით, საუკეთესო საშუალებაა და დახურული ეპარქიებში შეუერთდეს მახლობელ ეპარქიებს და ამგზით გაეპრაველოთ შემოსავალი. მე ამ ხერხით, რაც აქა ვარ (1802წ- 8 სექტემბერს დაინიშნა) ქართლში სამი ეპარქია გავაუქმე და სამი კიდევ დამჩაო, თუმცა, როგორც მგონია, ერთი ეპარქია კმარა. ერთბაშად გაუქმება. ეპარქიებისა კი საშიშია ხალხის მორწმუნებისა გამო (по прихъжности народа къ вѣрѣ) საშიშია“. ამის პასუხად გრაფი კოზლუბეი სწერს ციციანოვს 9 სექტემბერს, №3867; „ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა თქვენ მიერ ნიქოზის ეპარქიის და სხ. გაუქმება და თანახმაა თქვენის ზრწინე-მოსაზრებისა დანარჩენ ეპარქიების გაუქმებისა, რადგან საკირონი არ არიან, ეკლესიების ნაკლებულეებისა და შემოსავლის სიმცირისა გამო. ამასთან ინება,

რომ თქვენი განზრახვა ეპარქიების გაუქმნაზედ შეასრულოთ თან და თანობით, დიდის წინახედულობით; რომ საგრძნობელი არ იყოს, იქონიოს უკველადური სიფრთხილე, ერიდეთ ძალდატანებით ეპისკოპოსების გადაყენებასა, რათა თვალსაჩინო რამე სახამუხო საქმის მიმართულებით არ შეურყეცყოთ მაგ ქარაფშუტა და გაუნათლებელის ხალხის ცრუმორწმუნეობა და არ მისცეთ საბაბი უსიამოვნობისა და უჯერო მითქმა მოთქმისა. ათანასეს ექვსი თუმანი აძლიე, ნება გაქცეს... 1)

1) Докладъ Циціанова къ Императ. Александру: При семь и долгомъ ставлю всеподданнѣйше донестъ, что подобнымъ образомъ добровольнаго удаленія епископовъ отъ епархіи есть по моему мнѣнію лучшій способъ по упраздненіи таковыхъ соединять къ сосѣдствующимъ и тѣмъ увеличивать доходы; держась сего правила во время моего пребыванія въ Грузіи (8 сент. 1802-24 апр. 1804 г.) въ Карталиніи упразднено 3 епархіи, а осталось еще 3, хотя, какъ мнѣ кажется не должно быть Карталиніи быть болѣе одной епархіи; уничтоженіемъ же оныхъ единымъ разомъ по прибѣжности народа къ вѣрѣ, мнится мнѣ было бы опасно... 24 апр. 1804 г. № 25. *Отвѣтъ графа Кочубя Циціанову* 9 сент. 1804 г. № 3887.

„Государь Императоръ, одобривъ произведенное уже Вами упраздненіе какъ Никозской такъ и другихъ нѣкоторыхъ епархіи и соизволяя также на предположеніе Вшего сіятельства сократить число и остающихся затѣмъ яко излишнихъ по недостатку церквей и малочисленности доходовъ, вмѣстѣ съ тѣмъ изъявилъ Высочайшую волю Свою, чтобы преднамѣреваемое сіе уничтоженіе епархіи производимо было мало по мало, нечувствительнымъ образомъ, съ соблюденіемъ всѣхъ возможныхъ предосторожностей, и какъ сами полагаютъ изволите, пользуясь непринужденнымъ епископовъ желаніемъ удалиться на упокой дабы крупными какими либо въ томъ щекотливомъ дѣлѣ оборотами не оскорбить предразсудковъ легкомысленнаго и непросвѣщеннаго народа и не подать ему повода къ недоразумѣнію и неправымъ толкованіямъ. Разрѣшается выдавать Атанасію изъ Казны 60 руб. въ

годъ... Ст. 11 т. Акты Археограф. Комис. 264 и др. стр.

კ) რაქაში შავიდა რუსის ჯარი 1821წ. თეოლოკტეს სურვილსა მებრ დავინც შეერა კისეკლესიო აჯანყებაში, არაინ დაზოვა. ორი ღვედელი მისურაძე კომბირში გააგზავნინა შეურაცყოფილნი, და დამდაბლებულნი.

კბ) ელევთერ არხიმანდრიტის მსგავსი იყო შუამთის წინამძღვარი ეპიფანე არხიმანდრიტი (ბუქიაშვილი). თეოფილაქტემ საეკლესიო მამამულების გამგებლად დანიშნა. ეპიფანემ თავის ძმა ბევენი მოურავად დაიყენა და მთლად აატიალა საეკლესიო ტყეები და მამულები. შეაჩნდქ სხვა მრავალი ბოროტ-მოქმედებაც. გაუბეს საქმე 1824 წლიდან და დევით გარეჯის უდაბნოში დაამწყვდიეს 1827 წ. თებერვლიდან 1830 წლამდე და ეძლეოდა მღ. მონაზონის წლიური ჯამაგირი (ექვსი თუმანი). აშწელს კანტორამ დაიწყო სინოდში შუამდგომლობა — **ეპიფანეს ეპატიოს დანაშაული და ისევ შუამთის წინამძღვარობა მიეცეს წელიწადში ორმოცი თუმანი ჯამაგირით**. მაგრამ სინოდმა არ შეიწყნარა შუამდგომლობა და 1837 წ. 20 მისამდე ისევ ისე დარჩა. ამ დროდგან კი ხირსის წინამძღვარად დანიშნა. იხ. საქ. კანტორისა 1827 წ. №850.

კვ) ს. იძვისის მღვდელმა გრიგოლ კაპანაძემ მოხსენა კანტორას 1824 წ. 23 ივნისს — **თა. გიორგი ამირაჯიბმა ქურდულად წაიღო ხალოლა-შენის შტატგარეშე საყდრის ნივთები**. გაკბ უშველებელი დავიღარაბა, კანტორამ მისწერა სამოქალაქო მთავრობას და რუსის ტაძრის ბლალაჩინმა მღვდელმა ზაქარია მამაცაშვილმა დაუბრკოლებლივ ჩააბარა და ეს ნივთები სიით წარმოუდგინა კანტორს მღ. გრიგოლ კაპანაძის ხელით: *საქ. კანტორისა*

- 1) ხატი ღვთისმშობლის მიცვალებისა, ზოდი ოქრო-ვერცხლისა ჩამოსხმული, ექვსი ძვირფასის თვლით შემკული;
- 2) ოქრო-მარგალიტის საყურე;
- 3) ოქრო-მარგალიტის საყბეური (ყაშია);
- 4) უბის ხატი, ვერცხლით შემკული ორი თვლით;
- 5) ჯვარი ვერცხლით მოქედილი 7 თვლით და 2 მარგალიტით;
- 6) ხატი მაცხოვრისა, ვერცხლით მოქედილი, 22 თვლით და ნაწილებით.
- 7) დიდი ვერცხლის ჯვარი 28 ძვირფასი თვლებით;
- 8) მიძინების ხატი, ოქროში დაფერილი ვერ-

- ცხლით შექედილი, 9 თვლით;
- 9) ხატი ამალღებისა ვერცხლით შექედილი;
 - 10) ხატი ნათლისღებისა ვერცხლით შექედილი;
 - 11) ხატი ბზობა-ლაზარობისა, ვერცხლით შექედილი;
 - 12) ხატი მირქმისა, ვერცხ. შექედილი;
 - 13) ხატი ტაძრად მიყვანებისა, ვერცხ. შექედილი;
 - 14) ხატი ხარებისა, ვერცხ. შექედილი;
 - 15) ხის ჯვარი. ოქროსკურვილი ვერცხლით შექედილი;
 - 16) ბარძიმი ვერცხლისა, ზედ ათი ჩუქურთმა წმიდანით;
 - 17) დაფარნა ოქრომკედლით ნაკერი, 20 მარგალიტით;
 - 18) სამღვდლო ძვირფასი სარტყელი, ვერცხლის ბალთებიანი;
 - 19) ერთი ვერცხლის თასი;
 - 20) ძველი სახარება, ვერცხლით მოქედილი;
 - 21) ერთი ფეშხუმი და ორი კამარა ვერცხლისა;
 - 22) ოქროში დაფერილი ვერცხლის საცეცხლური;
 - 23) ერთი ვერცხლის აკვანი;
 - 24) 15 მარგალიტი; 5 ვერცხლის ბეჭედი, 1 ოქროს ბეჭედი ფირუზით; ორი ვერცხლის ღილი;
 - 25) სამი ვერცხლის შანდალი;
 - 26) ერთი ღიდი ვერცხლის თასი;
 - 27) წიგნები პრაელად-ნაბეჭდი და ხელნაწერი.

და სხ. ვაება გამოძიება. ამირჯიბმა გაატყუნა მღ. კაპანაძე, და ორის თეთი ნათლისცემლის უდაბნოში დაამწყვდევინა ტყვილი საჩივარისთვის. **ახ. საქ. კანტორისა 1824 წ. № 1228.**

კ) პიტროპოლიტი ნიკოლოზ ჯუმათელი მიიკვალა 1827 წ. დეკემბერში. გურიის ეპარქიის გამგეობა დროებით ჩაბარდა ფერისცვალობის არქიმანდრიტს არსენს (* 13 დეკემბერს 1851 წ.) აღმოს. (1829 წ.) იმერეთის გამგებელი ღენერ. მთიური სტრეკალოვი სწერს ეგზარხოსს—**„ღიდათ სახარებელი აქნება—ცაგერის იღუმენი ანტონი დანიშნათ გურიის ეპისკოპოსათა“.** კანტორამ წარადგინა სინოდში. რომელმაც მოითხოვა ცნობები: რამდენა-ველესია, მონასტერი, სამღვდლონი გურიაში? რითი ცხოვრობდა ნიკოლოზი? საიდან იღებდა ჯამაგირსაო—საეკლესიო მამუებიდან, თუ წაუღივლიდა? ამავე დროსი დოსითეოს (ფიცხელაური) წამოვიდა საქართველოში და ითხოვდა

ადგილი. სინოდი ავალებს კანტორას—**„კითხვით დოსითეოსს—„ხომ არ ინდომებს გურიის ეპარქიის გამგეობასო“.** **ახ. საქ. კანტ. № 5125, 1828 წ.**

კე) უინცვისის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ბართლომე * 2829 წ. ლენინსთვეში ს. ქარელში, მღ. სიმონ ცხვედაძის სახლში; ბართლომეს ანდერძით დარჩენია ორი ბარძიმი ფეშხუმი ვერცხლისა, სამი ხელი შესამოსელი არხიმანდრიტის მიტრა ვერცხლის შანდალი და სხ. ნიფთი. ეს ნიფთი კანტორამ მოსთხოვა მღ. სიმონ ცხვედაძეს. ამან უარი უთხრა—**„მე ქარელის საყდარში ვხმარობ“.** მოიშრო ციციშვილები და იგინ დააპატრონა ამ ნიფთებს. მაგრამ გუბერნატორმა ხოვენმა ჩამოართვა ერთი ბარძიმი ფეშხუმი, არხიმანდრიტის მიტრა, და სხ. ციციშვილებს და ეგზარხოსს იონას წარუდგინა. მეორე ბარძიმი ფეშხუმი, ვერცხლის შანდალი და სხ., რომელთაც მღ. სიმონ ცხვედაძე ხმარობდა, მაინც ჩამოართვა ბლაღოჩიმა გრიგოლ პაპიტოვმა, კანტორის ბძანებით, და ეგზარხს წარუდგინა 1841 წ. **ახ. საქ. კანტორისა 1835 წ. № 547.**

33) ეგზარხოსმა იონამ კანტორაში გამოაცხადა 9 სექტემბერს 1829 წ.—**„საქართველოში მამათა მონასტრები ბევრია და დედათა მონასტერი კი არც ერთიო. ამიტომ საჭიროა დედათ მონასტერი დაარსდეს ან ტფილისში. ან გარეთსადაც ემჯობინება“.** ეგზარხმა წარუდგინა მოლოზნების ნამსახურების სიები (ПОСЛУЖНЫЕ СПИСОКИ) 13 იანვარს 1831 წ.

1) უფროსი მოლოზანი სალომე 29 წლისა-ქართველის სახემწიფო მოქალაქის ქალი, წერაკით, ხეა იცის. 1810 წ. მოსულა მთაწმინდის ფერისცვალების საყდარში კათოლიკოსის ანტონის ნებართვით. მოლოზნად აღკვეცილა 1816 წ. ვარლამის ნებართვით ელევთერ არხიმანდრიტისამიერ. **კარგი უოფაქციევისა.**

2) ანასტასია მ.ლოზანი 30 წ. ქართველი, აზნაურთავანი, იმავე საყდარში მოსულა 1816 წ. დუშეთიდან ვარლამის ნებართვით და მოლოზნად აღკვეცილა ათანასე არხიმანდრიტისამიერ.

კარგი უოფაქციევისა.

3) მორჩი ანა, 88 წლისა, ქართველი, გლეათავანი, მოსულა მარტყოფიდან იმავე ეკლესიაში 1814 წ. **კარგი უოფაქციევისა.**

4) მორჩილი ელისაბედ, 46 წლისა, ქართველი, სასულიერო წოდებისა, მისი ქმარი მღვდელი გრიგოლი მოკლეს ოსმალოებმა, მოვიდა ახალციხიდან 1818 წ. და დაბინავდა იმავე საყდარში. **კარგი უოფაქციევისა.**

მცხეთის სამთავრო ტაძარში:

1) წინამძღვარი, უფროსი მოლოზანი ნინო, აიხოსრო ამილახერის ასული. ანაფორა უკურთხა აბა არხიმანდიტმა ¹⁾ 13 დეკემბერს 1810 წ. ს. ქალს ჯვარპატროსნის (ღვთისმშობლის შობის) სახელით. მოლოზნად აკურთხა ეპისკოპოსმა გერვასიმ რუსის ტაძარში 7 აგვისტოს 1812 წ. თეოფილაქტეს ნებართვით მოვიდა ს. ქალიდან, სამთავრო ტაძრის ეზოში დაპრინადა 10 ნოემბერს 1820 წ. პატიოხანის ყოფაქცევითაა.

2) მოლოზანი თეკლე, გიორგი ბიძინაშვილის ასული, ერისთვიანთ გლეხთაგან, 60 წლისა. ანაფორა უკურთხა მთავარეპისკოპოსმა იოანე ქარუმიძემ 1807 წ. 21 ნოემბერს გორის ტაძარში. აქვე ეკურთხა მოლოზნად მისგანვე 15 ოქტომბერს 1830 წ. თეოფილაქტეს ნებართვით მოვიდა სამთავროში 6 აგვისტოს 1820 წ. კარგი ყოფაქცევითაა.

3) მოლოზანი დომნა, თამაზ გონიშვილის ასული, მუხრანბატონის გლეხთაგანი, 50 წლისა. ანაფორა უკურთხა უნეტარესმა კათოლიკოზმა ანტონმა 1800 წ. 23 მარტს, ანჩისხატის ტაძარში. მოლოზნად ეკურთხა იმავე წლის 15 ნოემბერს, მისგანვე, თეოფილაქტეს ნებართვით მოვიდა სამთავროს მონასტერში ს. დამპლიდან 1 ნოემბერს 1821 წ. კარგი ყოფაქცევითაა.

4) ჩოხოსანი მოლოზანი მორჩილი მარიამი, ზაზა ევაძის ასული, აზნაურთაგანი, 34 წ. თეოფილაქტის ნებართვით შევიდა სამთავროში 10 ნოემბერს 1820 წ. ჩოხა ეკურთხა 4 აპრილს 1826 წ. კარგი ყოფაქცევითაა.

5) ჩოხოსანი მოლოზანი მორჩილი მარიამი, გიორგი გულაბერიძის ასული, თარხნიანთ გლეხთაგანი, 53 წ. მზარხოსის იონას ნებართვით ს. ახალქალაქიდან შემოვიდა სამთავროს მონასტერში 17 მარტს 1827 წ. და მაშინვე ეკურთხა ჩოხა. კარგი ყოფაქცევითაა.

6) ჩოხოსანი მორჩილი მოლოზანი თამარ, ესტატე ბიქიკაშვილის ასული, ჯავახიანთ გლეხთაგანი, 61 წ. სამთავროს მონასტერში შემოვიდა ს. ხოვლედან 28 დეკემბერს, 1824 წ. ჩოხა ეკურთხა 7 მარტს 1827 წ. კარგი ყოფაქცევითაა.

7) ჩოხოსანი მორჩილი მოლოზანი თამარი, გიორგი შერიძის ასული, საეკლესიო გლეხთაგან.

¹⁾ სანა არხიმანდიტ ბარათაშვილი იყო. ამის ძმის ნიკოლოზის ასული ქეთევანი იყო მუხლუ ევანე ამილახერისა, ნინო მოლოზანი ძმისა.

58 წ. სამთავროში შემოვიდა თეოფილაქტეს ნებართვით ზემო ავქალიდან 1 ნოემბერს. 1821 წ. ჩოხა ეკურთხა 22 ივნისს 1829 წ. კარგი ყოფაქცევითაა.

8) ჩოხოსანი მორჩილი მოლოზანი ხორეშან, ბერი ოქროპირიძის ასული, საეკლ. გლეხთაგანთ, 31 წ. შევიდა სამთავროში ს. დოესიდან 1 ნოემბერს 1825 წ. ჩოხა ეკურთხა 3 აპრილს 1826 წ.

კარგი ყოფაქცევითაა.

9) ჩოხოსანი მოლოზანი მელანია, ლაზარე მკედლიშვილის ასული, სახელმწ. გლეხთაგანი, 26 წ. შევიდა სამთავროში სართიქალიდან 14 ნოემბერს 1829 წ. კარგი ყოფაქცევითაა.

10) ჩოხოსანი მოლოზანი დარეჯან, გიორგი კობახიძის ასული, 25 წ. ქუთაისის ტაძრის გლეხთაგანი, 6 წ. მოიყვანა მამამ იმერეთიდან 20 აპრილს 1812 წ. და მიაბარა დომნა მოლოზანს, რომელმაც გაზარდა და იმასთანა სცხოვრობს დღემდე სამთავროში, კარგი ყოფაქცევითაა.

კანტორამ დადგინა 2 დეკემბერს, 1831 წ. ბარემ კარგია, მაგრამ უფულოებისა გამო ეს საქმე გადაიდგასო. ძალიან კარგადაც ინება კანტორამ: ტფილიში, ან მახლობლად დედათ მონასტერი რა ხელს მისცემდა მაშინ ჩვენს საზოგადოებას?

ის. საქმე კანტორისა 1829 ძ. № 2152,

33) 1830 წ. სასულიერო მთავრობამ მოითხოვა საქართველოს მონასტრებიდან და ტაძრებისგან ძველი დროშები, (знамя), ყველგვარი იარაღი-თოფი ზამბულავი, ხმალი, დამბაჩა, ხანჯალი, ოროლი, ფარი ჯაჭვი, ჩაფხუტი, სამკლავე და სხ, ყველაფერი სამხედრო გუბერნატორს ჩაბარეს. ვინ იცის რამდენი ძვირფასი საისტრიო ნივთი დაღუპა იმდროს მედიდურმა უმეცრებამ: ერთი გულშემატკივარი არ აღმოჩნდა მაშინდელ კანტორაში, რომ ეზრუნა როგორმე და უფრო შესწინავე იარაღი გადაეჩინა.

ის. საქმეი დარჩის მონასტრისა. (შემაფი იქნება)

„ჯვარივავის“ კორპორაციის

(მგზავრის შენიშვნებიდან).

სოფ. აწყვერა. (ახალქ. მაზ.) ბაღნარი აწყვერი გაშენებულია ახალციხე-ბორჯომს შუა მდ. მტკვარის ორთავე ნაპირებზედ, რომელიც ხის გძელი ხილით შეერთებულია (უწინ ქვიტკირის ბურჯებად ყოფილია ხილი.)

აწყვერში 400-დე კომლია მცხ. ითვლება, 300 მამალიანი და 10-ოდე მართლმადიდებელი



ქართველი; 30 სომეხი და დანარჩენი ებრაელი. მაჰმადიანი მეურნეობას (ბალბოსტნის გაშენებას და ხენა თესვას) მიზღვევენ უმეტესად, დანარჩენნი კი ვაჭრობასა.

აწყვერში, საკმაოდ დიდი ბაზარიცაა გამართული აქ სამინისტრო ერთ კლასიანი სკოლაც აქვთ ქსენონი აფთიაქითურთ, სადაც აქიმი, ფირშელი და ბებია ქლიც ჰყავთ. არის იქ საბოქაულო და სასოფლო დაწესებულებებიცა.

აწყვერში შესანიშნავია მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ მალალ კლდის კენწეროზედ მდგარი ღიღ-გლაფნიანი ციხე მღაროებით ურთ, რომელიც მტკვარს გადაყურებს ამაყად. შუა სოფელში კი, გაშენებული საკვირველი ღიღ ტაძარ, რომლის სიგძე (შიგნიდან დავზომე) 40 ნაბიჯია საკურთხეველამდის, საკურთხეველის სიგძე კი 12 ნაბიჯია, სულ 52 ნაბიჯი. სიგანე 25 არშინი სიმაღლე კი 30 ნაბიჯი იქნება.

კედლის სისქე არშინ ნახევარია. აღმოს-დას. კედლებს სიმაღლე დაცულა, გოლო გვერდებისა კი დაქცეულა. ზემო გუმბათისა აღარა დარჩენილა რმ გარდა საკურთხეველში რომლის დასაწყისი ეტყობა ოღნავ წამოსურული მუშების ძირა. საკურთხეველას შიგნით კედლებზედ ფეხადით წამლებით მხატრობა დღემდე მოხწეულა თუმცა წვიმას ურეცხავს, მარა რადგან აღმოსანის ხელს კირი ჩამოუყრია ან გზავრება დანაკარგვით თვითეულს ნახატს.

საკურთხეველის გარეთ, მარჯვნივ ან მარცხნი მარ. ს აკლდაებიც აქვს სარდაფებ-თურთ, სადაც შრავალ წაშთია უწინდელი მიცვალებულები-სა. დღემდე მიღწეული.

ჩდილოეთის მხარეზედ, ეკლესიის მიშენებულ აქვს და ჰქონია კიდევ ბევრი სხვა შენობებიც, როგორც ნაწილი გვიჩვენებს (დიდსა გოლაფანს) შიგნით; მგ ეს, ეს განყოფილებები კათალიკოსის და მისი საშლადელ-კრებულთა სადგომები უნდა ყოფილიყოს.

ტაძრის შენობა ლაშაზი თლილი ქვითაა ნაშენი; ალავ აღავ, როგორც შიგნით, ისე გარედგან. თითო ოთხილი ხუცურ-ქართული ასოები ეტყობა ქვებზედ დაწერილი!

როგორც ისტორიით ვიცით ე ტაძარი ს პატრარხთა ყოფილა სამესხეთოსი.

თი რას მოგვითხროს ვახუშტი: ხოლო თი-რის ხვე ზღვით მტკვრის პირათ სამხრეთათ არის აწყვერი ქალაქი და ციხე ღიღ-შენი მოსახლენი

არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი, კვალად წარჩინებული მაჰმადიანი, აქ არის ეკლესია ღიღ-შენი; შეენიერთ ქმნილი გუმბათიანი, ყოველად წმიდის ღვთის მშობლისა.

იჯდა მიტროპოლიტი მწყემსი ყვირის კორტანეთსა ზეთისა და მტკვრის ჩრთილოეთის და ბოკო წყლის ჩრდილოსი კერძასი ვიდრე გურიის მდინარემდე. გარა აწ უქმ არს, არამედციხესა შინა დგანან იენიჩარნი. აქ არს ხიდი მტკვარსა ზედა.

ისტორიითვე ვიცით, რომ ეს ტაძარი დანგრეულა 1283 წ. ძრეელი მიწის ძვრისაგან, ხოლო სამიტროპოლიტო კათედრა მოსპობილა მე XVII საუკუნოდამა, როდესაც ოსმალოს დაუპყრია ქართველთაგან სამცხე. მკვიდრი თავ. აზნაურნი, რომელთაც სჯულის დაკარგვა არ სდომებოთ გარდასახლებულან ქართლში, ს. გოგენშ. აწყვერის ტაძრის ხატგვრებიც თან წაუღიოთ და მცხეთის სვეტი ცხოველში დაუსვენებიათ იმ პირობით, რომ, როდესაც საქრისტიანოს ხელში გადავიდოდა სამცხე ის ხატები ისევ უკან წაეღოთ აწყვერის ტაძარში; 1746 წ. ყოფილა. 1690 წლის მიწის ძვრმ აწყვერის ციხეც აღ-ღ-ის მხარგრს უმაღლესი კედლის ნაწილი დააქცია. კ. 8-



ბათუმის ქართველთა კათოლიკეთა ეკლესია

ჯაკანსეთი

ენოგრაფიული წერილი.

ჯავახეთი მესხეთის აღმოს-ვლეთის ნაწილს შე-
ადგენს; ამას საზღვრავს: აღ. წალკა, ანუ ჯავახე-
თისავე მთა; დას. ახალციხე ერუშეთი; სამხ. ლორი
ანუ პალაიაციოს ტბა და ჩრდ. თრიალეთის მთა
ანუ ქართლი ჯავახეთის (სიერცე. აღ-ად. დას-თდე
ან ვერსია, ხოლო სამ.-დან ჩრ-დე 30 ვერსი, მთე-
ლი ეს მიდამო ვაკე უტყუო მინდორია, რომელსც
ერთ ჩირგვსაც კი მოკლებული არის; შუა ცენტრ-
რზე კი, თითქოს განგებოთაო, სვეტივით აღმარ-
თულია თვალწვდენი, მეტაო მაღალი კონუსის
გზავსი მთა „აბულათ“ წოდებული, რომლის უზე-
ნაესი მწვერვალი სრულს თერთმეტს თვეს თოვ-
ლით მოსპეტაკებულია; მკათათვის ნახევრიდან
მარიამობისთვის ნახევრობამდის.

„აბულის მთა“ 10, 820 ფუტით მაღლა ძეგს
ზღვავდ. აქედან 12 ვ.რ. მოშორებით სამხრეთ
დასავლეთისკენ, თაფარვანის ჯღრმეს ხეობას თე-
ზედ, მარჯვნივ, გაშენებულია ჰატარა და ლამაზი
ახალქალაქი 5, 000 მცხოვრებელით, რომელთა
შორის 100 დე ქართველია, 40-დე ებრაელი, და
დანარჩენი კი სომეხი.

„აბულის მთა“ წვერვალს დაბლა, მეორე
ნაყარს წვერვალს შენიშნავთ მკირე აბულათ წო-
დებული მთას, რომლის წვერზედა განგებობით ტბა
და უზარმაზარი ლოდებით ნაგე'ი შენობა, ყოფილა
რომელსაც ქოროღლის¹⁾ ციხეთ გადმოგუემენ.

ეს ციხე საკმაოთ დიდი ყოფილა და ნაბაგა-
რებიც ეტყობა თურმე ქოროღლის საუკეთოსო
ცხენების საბინაოთ, რომელთა შორის „ყირი“ და
„არაბა“ (ცხენებია) სანაქებო ყოფლა,
ხრიოთ

„აბულის მთას“ ჩრდილოეთის მ მიებჯინე-
ბა უზარმაზარი და მოგძო მთა „გოდორათ“ წო-
დებული, რომელიც თრიალეთ-ბაკურჩანის მთის
შტოებს უერთდება ათიოდე ვერსის გაგრძელებითა
²⁾ „აბულის მთის“ აღმოსავლეთით, 10-ოდე

¹⁾ შენიშვნა ქოროღლი, უწინდელ დროში ოსმალის
ავსაქების მოთავე ყოფილა, 3, 364 კაცს, ესენი შეიარაღე-
ბული აჯოღი ქოროღლის, რომელიც ხშირად ფაშებს ეო-
მებოდა ხოლმე და გამარჯვებით გადიოდა ყოველთვის. -მა-
ზედ მაღლი რომანებია ქართულს ენაზედ. მეც ბევრი მ.ქს
მაზედ ხალხურა ცნობები, რაც შემდეგში დაგებულად.

²⁾ საღამოს ტბიდან 140-დე წისქვილის დასაბრუნებე-
ლი წალხე გამოდის სხვა და სხვა ადგილებიდან, დაფანტ-
რა და ხოლოს, ისე უერთდებოან თაფარვანის ხეობაში.
საღამო მთაზედ, მთისის, ახლა აბაღ ქალაქის წყალს
ქვედად. მთისი მთისიდან უნა ამბობს უკლებ იგიოთ
ტბა. თუნიძეჩონა მთიოთ

ვერსის სიშორეზედ თაფარვანის ტბა ძეგს, რომე-
ლიც საღამოს ტბას უერთდება თაფარვანის
მდინარეთა, 10-ოდე ვერსის სიშორეზედ

„აბულის მთა“ დიდი ჰნიშვნელოვანია არმც
მარტო ჯავახეთისათვის, არამეტ ჯავახეთის გარეთი-
სათვისაც, რადგან მისი ბუმბერაზს მწვერვალზე
ატყობენ ჰაჭრის ცვილილებას და მით ასრულებს
ის მთა მეტეოროლოგიურს ობსერვატორიობას მაგ.,
ეს წვერვალი თუ ხან დაყოვნებით მოშავო ღრუბ-
ლებმა მოიცვა, იმ დღეს გაწვიმდება იმ არე მარეში,
საიდანაც კი მოჩანს იგი, ეს თვით მეც შემიწინა-
ნავს ჯავახეთში. ნათელმადრუბლებმა თუ დაჩდი-
ლა მწვერვალი, აღნიშნავს საეკუო დარს. თუ მო-
წმედილია, მაშინ დარგბია. ასეთსავე ობსერვატო-
რიობას სწევს დასავლეთიდან მისი მოპირდაპირე
„საკვირიკო მთა“, რომელიც ახალციხის მხარეს
ჯავახეთიდან ასიორონებს მაგ., თუ „საკვირიკო
მთის“ წვერები მზის ჩასვლისას თეთრმა ღრუბლებ-
მა დაჩდილა და იგი მზის სხივებით გაწითლდა,
მეორე დილას ქარი იქნება, თუ დაბნელდა, მაშინ
კი წვიმა მოელის მეორე დღესა.

ზვიზირ გადმოცემით „აბულის მთა“ ცეცხლის
მფრქვეველი ყოფილა (вулканический). რამდენიმე
საუკუნის წინათ, ამ მწვერვალიდან ამოგრიალებდა
თურმე საშინელი ცეცხლი და შადრევანსავით ამო-
ჩრუხდა თან გადადუღებული ნაცარტუტის ლაფი;
ამას, კარგად აპტიკებს დღესაც „აბულის მთის“
კალთებზე იმ დროანდელი ამონასხამი გაყინული
ლაფი, ლავა, ლა სხვა ნივთიერებანი.

1899 წლის, დიდმა მიწის ძვრამ უკეთ დაგვი-
მტკიცა, „აბულის მთის ცეცხლის მფრქვეველობა“
ქრისტეშობის თვე იყო. 19, ნაშვადღევის 12 და 12 წ.
საათზედ გაისმა „აბულის მთის“ ქვესენელიდან საშინე-
ლი გრიალი და გუგუნნი. მალე ძრიელი რყევაც მო-
ჰყვა მას. ერთი წამი მის ფთებზედ, რაოდენიმე სო-
ფელი ისე დააქცია, რომ ქვაქვაზედ აღარ დატია.
მცხოვრებნი თავიანთი ქონებიან და ოთხფეცხოვე-
ლებ-ფრინველებიან ბევრი ქვეშ მოჰყვა; რომელთა
შორის ამოთხრის შემდეგ ბევრი დახოცილი აღმო-
ჩნდა ადამიანთაგანი და ცხოველებთაგან კი მრავალი.
იმსხვერპლა 200-დის ადამიანი. გადარჩენილნი,
დიდ თოვლ-ყინვაში გარბოდენ შეშინებულნი
მახლოვდელ გადარჩენილ სოფლებში იქ შესახი-
ზნელად. სურათი საშინელი იყო.

საშინლად დაასახიჩრა შემდეგი სოფლები: თო-
ქსამსარი, ებტილა სამსარი, მგრენია ჯანჯლა და-
ბულაშენი. სუბტუქათ დაიზინა: მარალეთი რკათ
„ „ „ „ „ „
„ „ „ „ „ „
„ „ „ „ „ „

ველთა შორს, და თითო ოროლა შენობა ხომ ყველა ჯავახეთის სოფლებში დაიქცია (სომეხთა შორს).

გეოლოგიის გამოყენებით, „აბუღის მთის“ წვერვალს. თურმე ქადე მოელს, რაოდენიმე საუკუნოებით შეჩერებულს, ცეცხლის ფრქვევის განახლება, რომელიც შეიძლება სულ მალე მოხდეს და ამის წინაპირობად ნიშნებათ აწინდელი მიწის ძვრის დროს, იქიდან გომოგვრგვინავე გუგუნი, და თითქმის ორი კვირის განმავლობაში მალმალი რუევა აღნიშნეს. ამიტომ დანაქცევი სოფლების აღდგენის ნება აღარ მისცეს გადაარჩენილ მკვიდრთა და სხვაგან უშაშირო მხარეს დასახლეს?

ჯავახეთი, დამოსახლებულია ნარევი ერისაგან, სადაც 76,879 მცხ. ითვლება მათ შორის უმეტესი ადგილი სომეხებს!) უქირავე და არაკუხებიან 36,000 სული, ორივე სქესი შემდეგ ქართველთ უქირავე სარწმუნოების გაურჩევლად, და ირიცხებიან 12, 872 სული. მერმე ადგილი თარაქმ. ქურთი 6500 სული შემდეგ რასკოლნიკები არიან 4430 სული. ებრაელი 120 სული, პროტესტანტი 376 და არა ქრისტიანთ სხვა ეროვნებიდან 26 სული.

ჯავახი ქართველები განიყოფებიან სარწმუნოებით კათოლიკენი 5,009 სული, მართლმადიდებელნი 5,029 სული; დანარჩენი, 2730 მაჰმადიანია.

ჯავახეთის სოფლები, სადაც ხსენებული ქართველები ცხოვრობენ, ისე მცირეა, რომ შეიძლება აქვე მათი აღწერვა. იხილე ცხირალში.

1) შენ შენა ჯავახეთში სომეხები გადოსახლდნ, 1824 წ. კარაქტ ივისკოპოსის შეწყობით აზრუმიდნ.

ხალა თარაქმა ქურთები, მათზე ადრე არაბოლანოლდნ გადმოულან ოსმალის დროს.


ამათ გარდა ჯავახეთის სოფლები არიან შემდეგნი: ხოსპოო თათ. გიქია თათ. ლასტანი-სომეხთა

- კათოლიკენი
- ვარევენი ს. კა.
- ეშტია ს. ქ.
- კოთელია ქარათ.
- ბალანთა. ქარათ.
- ჩუნჩხა. ქ.
- ახალი გამოსახლებული სომეხთა სოფლები შემდეგნი არიან,
- ვახიანი. ს. გ. დილიცკა.
- გულიკამი. აბული.
- თახა. ს. სლაპო ს. გ.
- ქარწახი ს. გ. ულკა ს. გ.
- გულიკამი ს. გ. მაქატია
- მურწაშეთი ს. ლომბატურსხა
- ჯანჯლა " " სამსარი " "
- ორჯუა " " არაქუა " "

სოფლები რიცხვ.	სოფლის სახელები	კომლი	მცხოვორ სქეს.	სარწმუნოების	რა ენას დაპარაქ.
1	ხიზაბაეკა	161	2,813	კათო.	ქ. მოლავ.
2	ვარგაევი	25	150	კათო.მ.	ქარ. ლაპარაქი.
3	—	3	41	კათ.	
4	ბნელია	8	46	კათ. მ.	
5	—	2	20	ქ თ.	
6	ხულგუშო	56	510	კათ. მ.	
7	ბაგრა	40	405		
8	ტურსხი	70	603		
9	თითო ხარ.	50	425	კათო.	
10	პტენა	41	357	ვენი	თათრულ.
11	ვარევეანი	38	180	მართ მ.	
12	—	15	80	მართ მ.	
13	კარტიკამი	130	1,167	კათოლ.	ქარ. ლაპ.
14	სარო	61	70	პართმა	
15	—	2	8	მართ.	თათ. ლაპ.
16	კოთელია	98	717	მართ.მ.	
17	ბარალეთ.	64	495		
18	ბალანთა	35	261		
19	აფნია	20	320		
20	ჩუნჩხა	56	530	მართლმადიდებელნი	
21	ქილდა	68	566		
22	ქიხარულ.	12	67		
23	მოგაშენი	28	24		
24	ახვერეთი	68	533		
25	ხუმრისი	1	12		
26	წით. საყდ.	3	17		
27	ქ. ახალ ს.	2	11		
28	ხერთვისი	10	40		
29	მ რგასტ.	200	2,000		
30	ოკამი	15	80		
—	კვასუ.	65	560	მაჰმადიან.	
—	შვიდრვატ.	12	67		
—	თოკი.	15	80		
—	—	5	40	მაჰ.	
			1499	12,872	

- მოლითო ს. მოდიგამი
- ხანდო კაქო დიდი და პატარა
- ჩანდურა ოროჯალარ
- ეუარის. მერენია
- ტირგინა გომანი
- ზაკე იგანა
- იხტილა ილათუბანა
- ბულაშენი ჯიგრაშენი

ქუ ქუ ცნობები ზოგ. რომაე. ანსანდრიდგან და ზოგი ბლადიონის, მღ. ხაბუტაშვილის მოცემულ ცნობებზე ბიდან ამოკრებილი. აუტ.



ქართული ხელოვნება:

კუმურდოს ტყარი ჯავახეთის, სამხრეთ დასავლეთის მხრით.

ჯავახეთი შეიცავს ახალ — ქალაქის მარას, რომელიც ორ საბოქაულოს შეადგენს: ბოკდანოვსკის და საპარალეთოს, დაყოფილია 11 საზოგადოებათ (სამამასახლოსთ) და შეიცავს 2454, ¹⁰ ოთხკუთ ვერს სივრცესა, ანუ 242,611 დესეტინარა ჯავახეთში სულ ერთავათ სახნავ სათესია და საბაღახო ადგილებია. დატდენილი ადგილები არაა აქა.

ჯავახეთი ხოსპიო, სახაზინო და მემამულეების საკუთრებას შეადგენს:

ჯავახეთის მემამულეები ცხოვრობენ თოქში, აბაშიძეები გოდებაძენიდა ხიზაზავრში გარგასტანში ფალაენდიშვილები. დანარჩენნი კი ახალციხელები არიან.

აი ჯავახეთის მემამულეებათაც სახელგეარი, რომელნიც ახალციხეში ცხოვრობენ და მასთანვე ახალციხის მემამულეებათაც ითვლებიან: ფეხულბეგ-ათაბაგი, პეტრე ყირქესლი შვილი, იაკობ ორბელიანი, მუსხელიები, და ბაიბუნელნი, ჯავახები ბატონებს აძლევენ ათში ერთს ღალსა. და საბაღახოდან კი ფულათი დაახლოებით 25 მანქანა მშენებელს და 7 კაბ. თხა ცხვარი ზედ. ჯავახები, გარდა

რამდენიმე (ნახსენები აბაშიძე ფალაენდიშვილები-სა, ე. ი.) ბეგებისა და მასთან ალებისა (თარაქამებიდანაც არიან ალები, გოკიაში სულ გლეხები არიან.

საზოგადოდ ჯავახები მეურნეობას მისდევენ, ხენენ და თესვენ მ.წასა, ინახენ და ამრავლებენ გასაყიდს ფეხმსხვილს და თხა ცხვარსა. მისდევენ მეფუტკრობასა და ვაჭრობას კარგათ ახერხებენ. მოკლიდ დროს კი ჯავახები გარეთაც დაიარებიან სამუშაო, ბათუმსა ნავთის ქარხნებში, და იმერეთს მიწის სათხრელში.

ჯავახეთი მთის უფრო წარმოადგენს, ვიდრე ბარსა, რადგანც მალღობი მდებარეობა აქვს (ზღვის ზევით 10,820 ფუტია). ზამთარი მეტათ ცივი სუსხიანი და ხანგრძლივია აქა. სრულს ექვს თვეს სტანს აქეთ ზამთარი. ოქტომბრის ნახევრიდან აპრილის ნახევრამდინ. აპრილის დამლევამდისაც თითქმის ზამთარს შეიცავს ისეთი სიცივეები იცის.

ცივი ჰაერის გამო ჯავახეთი მოკლებულია იმ მშვენიერ ბაღების და ვენახების დახატულს სურათსა, რათაც დანარჩენი საქართველოს კუთხეები მო-

წალკოტავებულია. იმოდენა უზარმაზარს, თვალ უწვდენს ვაკე მინდორს გახედამ და ცელი ცრემლით გვესეტა. როდესაც ე-თ ჩირგვსაც კი ვერ ხედავთ და მოტრეტლებულია ხელის გულს ვითა.

მტკერას და ააფარკასას ხეობაში, თუმცა მშვენიერი ბალები და ვენახები გაშენებულია, მარა მტკერე ავგილასაა სულ რაოდენიმე სოფელში; მაგ., ხიზაბაერას, სააროს, ხერთვის, შვიდრაფანტას, თოკს.

საკვირველია, ამ ხეობაში ისეთი ცხელი ჰავაა, რომ სათბილ ქვეყნო ხე-ხილიცა ხარობს, მაგ., წირანი, ნუში, ვაზი, ატამი და სხ. მსხალი, ვაშლი და ქანჭურაც საუცხოვო ოცის, მეტადრე თუთა.

თუმცა ჯაფახეთის დასავლეთი ნაპირა (საზღვარზედ) აღწერეთ ხე-ხილას ხარობს, მეტი, მაგრამ ჯაფახეთი მანც უხილო ქვეყნათ ითვლება. აბას ხალხური ანგეტოტაც კარგათ ამტკიცებს და ახასიათებს.


ერთხელ, ერთა, იქათა ნაპარის (აღმოსავლეთის) ჯაფახა წამოსულა მგზავრათ დასავლეთისკენ და ხიზაბაერას ვენახებში რამ მოსულა მსხოპიარე კაკლის ხე დაუნახავს ვაშლი გონებია; მგზავრსა ქვა უტყორცნია და ჩამოუყრევია, და რომ გაუქვებ-

ჩია დაუშწიფებელ კაკალი და პირი გამოუშხამავს წინგოს, დასწოლია იქვე მომდინარე მტკერისა პირის გამოსარეცხათ და უთქვამს თავისთვის, რა მწარე ვაშლი საცოდნია აქეთაო.

ჯაფახები თუმცა საზოგადოდ ბაღის ხილს მოკლებულია არიან, მარა მინდვრის ხილი კი ბევრი აქვთ: მაგ., ღიმი ატოლი და სხ. ამაზედ შაირიც თქმულა: ჯაფახეთისა ხილია, ატოლია. და ღიმი, „ისიც რო გამოელევათ, გამოუწყედებათ ღიმი“.

ჯაფახებმა, ამ უკანასკნელ დროში, ბევრგან სცადეს ხე-ხილის მოშენება და კარგათაც იხარა; გამოიფურჩქნა მშვენიერი ყვავილიდან, დანაყოფდა, დაიზდა, მარა დაშწიფების დროს კი უდროვო სიცივებმა მოუსწრეს და მოუშრიტეს ნაყოფი ამისთანა დღე დააყენა ვაშლს, მსხალს და ქანჭურსა...

უდროვო სიცივებმა ბოსტნეულზედაც ისე იმოქმედეს, როგორც ხეხილზედ, ამიტომაც ერთსაც და მეორესაც მოკლებულია ჯაფახის ხალხი. ნაადრევმა ზამთრებმაც ხომ თვით კინახულის აღებასაც შეუშალეს ხელი მ-გვეხსენებათ, ჯაფახეთში კალომარინ იწყება, როდესაც სხვაგან დიდი ხნიდან გათავებულა ეს, და იმ დროს ხილსა ჰკრებენ და რთვენ



ძარბაზის აგლომერატი
ქაჯის ციხე არტიანის მხარეს, ჩილდირის უჩასკაში.

ლობენ. ოქტომბერში კალო გაჩაღებულია ჯავახეთში; ამის დაშლევს კი. ხშირათ თოვლი მოვა ხოლმე; მაშინ მკალოე ჯავახები, ან გაზაფხულისათვის ინახვენ გასაღეწათ თავიანთ მჯასა, (როდესაც თოვლი იდგება), და და ძილა უნებურათ წ მოხუცულს კარაპნებში უნდა გაღეწონ და ისე იწვიალონ.

უტყუობ: ც ღიდს ზარაღს და შეწუტებას აყენებს ჯავახს სახელების სანაშენო მასალას, ის 10-60 ეგრისის სიშორეზედ ეზიდება „ოთის ტყიდან“, ხარებიითა. საწვავი შეშა ხომ სრულებით არ აქეთ და ამარობენ წივასა.

უტყუობავე ამიზნებებს ჯავახეთს, რომ მდინარეები მცირეა. სულ სამიოდე, თაფარავანის, ორჯს ღვის და ვარევანის წყალი, ორი უკანასკნელი, ისე იტარებია, რომ მისი დასახელებაც მეტია აქაურმდინარებში.

მდინარეებს მოკლებული ჯავახეთი კი ტბებით ღიღარი ქვეყანაა. ამოდენა ტბები, საქართველოში ხედავანა არასდ არ არის; და თევზიც უხვი, კალმახი ბევრი იცის აქ. ტბების გაპო, წურბელებიც ევრია ჯავახეთში, ამით სარგებელა ხშირად დასავლეთ საქართველოში ეზიდებიან მის გასაყიდათა,


ჯავახეთის ტბებ შორის შესანიშნავია: წითელი-საყდრის ტბა თაფარავანის და სალაშოს ტბები, კარვახის ტბა, არმაზის ტბა, ბატების ტბა, სანჩალოს და სხ.

წითელი საყდრის ტბაზე, ზებირგადმოცემით, უწინ სოფელი ყოფილა, რომელსაც ჩაკოკბილი მდებარეობაჰქონია. ამ სოფელს, შაღლობზედ წისქვილს წყალი მომდინარებდა; სადღაც ქნილა რომ გადავარდნილია წყალი სოფლისაკენ. პირველი ღამე ყოფილა. გათენებამდი უდენია ამ წყალსაჩაღრმავებულს სოფელში და კიდევ ამოუვსია და გადახეთქილა თავზე წყალი. ეკლესის კოკოლის წვერზედ ვერ აუწვებია და ეს წვერი დაკუნძულებულა. ეს კუნძული ღღესაც მოსჩანს განაპირიდან რამდენიმე საეენზე.

თაფარავანის ტბიდან მდ. თაფარავანი გამოდის და ერთვის სალაშოს ტბასა რვა ვერსზედ და შემდეგ ისიც უშვებს თაფარავანს და 30 ვერსზე დასავლეთისკენ მტკვარს ერთვის, ამის თაობაზე შაირიც არის დარჩენილი აფიარე ხერთვისაო „იქ ორი წყალი ერთვისაო“.

ჯავახეთს თუმცა ურწყავია, მაგრამ კასპირს მხრიდან მომავალი ღრუბლებს შეშწეობით არ აქლია წვიმები, რასაც კარგი მოსავალ: მოჰყავს; ამას ადგილობრივ ნოყიერი მიწებიც ხელს კარგათ უწყობს და ერთნაირად ამრავლებს ქინახულსა.

ჯავახის საქმელი ქერი და პურია და ესევე მოჰყავს ადგილობრივ მიწასა ბევრი. ამ 20-25 წლის წნათ, ისეთი მოსავალი იკოდა ჯავახეთში, რომ ადგილი არ ჰქონდათ შესანახი მოსავლისა აი, იმდროინდელ დროებში გამოთქმული შაირი ქართულ-



საქართველოს სიძველენი

ანბან დედანებშიაც ინახ ბა ღღემდის:
 მე ჯავახეთს რა მავადა პოვარე ივგა მხეს-
 ვითა, კალმახი და ქერის პური წინმეყარა ბზესავით,
 ჯავახეთის მიწა მტრათ ღონიერია; ფერათ შა-
 ვი ყაშირი და ფხვრიელი საგუთნარია. არის თეთ-
 რი და წითელი მიწაც, მარა უკანასკნელი მცირეა.
 გუთანის მუშაობას 4—5 კაცი და 6—7 უღელი ხარ
 კაშერი სჭირია; და ღღეში დესეტრას ნახევარ მიწას
 გაიმუშავენ (ხვნათესვაში).

ჯავახ მამაკაცს მიწის მუშაობაში დედაკაცს
 ეხმარება და თანაბარს უღელს უწევს მუშაობაში.
 უღელზედ უჯდება, ის ხარს წინ უძღვება, კეტე-
 ბით ბულულებს ეზიდება დასაგროვათ. სადილ ვა-
 ხშამ უზიდავს მეყანულთა. კალოზედ უჯდება გა-
 სალენათ. ხეავს სწეს არნადით, ანიავენს. ჯვლებს
 იკიდებს ზურგზედ და სხ.

ამის გარდა დედაკაცმა ქალის საქმეც უნდა
 ითაოს ოჯახში. საქმელ სასმელი, დახვეტ დაწმენ-
 და, ქრა კერვა, შვილების ზდა და მისთანობა. დე-
 დაკაცივეა ხალიჩების და ფიჩვების მქს-ველ, იგივეა
 ახერებში საქონლის პატრის დამხვეტი და გადამყრე-
 ლი ხარძლებით გარეთ სანახევზედ, ძროხებს და თხა
 ცხვრის შწველელი და ნაწველი რძის ერობ ყველად
 დამუშავებელი; ერთი სიტყვით, ჯავახ დედაკაცს
 მამაკაცებზედ მეტი საქმე აქვს; არც ზამთ რშია
 მოსვენებული საბრალო ქალი. ახლაც კი, 20-30
 სულს საქონელს ხელით წყალი უნდა უზიდოს და
 ასევე და გალილიან ღამეებშიც იჯდეს უნდა და
 მატულ ბალანს ართავდეს საქოვისთვისა და ამო-
 დენა საქმის აღმსრულებელი, ნაცვლად იმისა, რომ
 მამაკაცისაგან ღირსეულთ დაჯილდოებულ იყოს
 გარჯისთვის, ის პირ იქით, დაძაბუნებული და და-
 დასაგროვლია ყველ-ფერში და ცემა ტყეპასაც დიდი
 მოთმინებით ითმენენ; გარდა ამისა, სიშიშელესაც,
 წარმოიდგინეთ, მწარე ზამთარში ბევრგან ფესშიშ-
 ველსაც იტარებენ ასეთ ოჯახის მუშა ქალს. ამ-
 ვე სასჯელს, თუ თ რაედენიმე დღის მელოგონეც
 ეწევს...

საზოგადოთ, ჯავახეთში, მამაკაცს მეტი გავ-
 (განავრძობია)

სარჩევი

- 1) დემოკრატია და რესპუბლიკა
- 2) ქართველთ კათოლიკეთათვის ეპარქიის გახსნა საქართველოში ქალაქ თბილისში.
- 3) ველელები.
- 4) ძველი მწელები (იამბიკონი)
- 5) საზოგადო მიზნობილება.
- 6) გაბრაელ ეპისკოპოსის მიწმარ მოწერა.
- 7) საქართველოს სამღვდელთა და რუხის ეგზარხოზები
- 8) ქორეხპონდენცია.
- 9) ჯავახეთი.

რედაქც გამომც. პ. დ. მულაშოვ იგიკა პაწაძე.

სტამბა „გუტენბერგისა“ ბ. ს. ეს. ძე. სასახლის ქუჩა.

